

სს „სილქნეტი“

2018 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12



შპს „KPMG Georgia“

ჯი-ემ თი პლაზა

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „სილქნეტის“ აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ მოვახდინეთ სს „სილქნეტის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი კონსოლიდირებული ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადებს ანგარიშგებას, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენი აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია „აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები მოიცავს საკითხებს, რომლებიც ჩვენი პროფესიონალური მსჯელობით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში. ეს საკითხები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და ჩვენი დასკვნის გაკეთების პროცესში თანმიმდევრობით არის გათვალისწინებული და ჩვენ არ გავცემთ ცალკე დასკვნას მათთან დაკავშირებით.

საწარმოთა გაერთიანება – შეძენის ღირებულების განაწილება	
აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები	შესაბამისი აუდიტორული პროცედურები
როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 1(ბ) და 25-ე შენიშვნაშია განმარტებული, 2018 წლის 20 მარტს ჯგუფმა შეიძინა შპს ჯეოსელის 100% იანი წილი. ამ გარიგებამ არსებითი გავლენა იქონია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფმა შეძენა განახორციელა ფასს 3-ს მიხედვით „საწარმოთა გაერთიანება“ და მოახდინა შეძენის ღირებულების განაწილება. გარკვეული აქტივების სამართლიანი ღირებულების დადგენა თანდაყოლილ უზუსტობებთან არის დაკავშირებული და მაშასადამე მოითხოვს ხელმძღვანელობის განსჯის მაღალ დონეს. შეძენისას წარმოშობილი სავაჭრო მოგებაც დიდწილად დამოკიდებულია შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებაზე.	აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი პროცედურები: - ჯგუფის მიერ დაქირავებული შემფასებლის პროფესიული კომპეტენტურობის შეფასება; - შევისწავლეთ შესყიდვის ხელშეკრულება და შევადარეთ გადასახდელი თანხები და საგადახდო პირობები ხელმძღვანელობის გამოთვლებს; - ჯგუფის მეთოდოლოგიის და აქტივების სამართლიანი ღირებულების დასადგენად გამოყენებული საკვანძო დაშვებების შესაბამისობის დასადგენად ჩვენ KPMG-ს შეფასების ექსპერტები ჩავრთეთ საქმეში: • ჩვენ შევავასეთ შეძენილი აქტივების სამართლიანი ღირებულების გამოსათვლელად გამოყენებული მიდგომები ზოგადად მიღებული მსგავსი აქტივების ბაზარზე შეფასების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით; • ჩვენ შევადარეთ სასარგებლო მომსახურების ვადები და მოდელში გამოყენებული მომხმარებლის პრინციპი გარე მონაცემებს; • ჩვენ შევადარეთ გრძელვადიანი ზრდის პროგნოზები სამრეწველო და ეკონომიური ზრდის პროგნოზებს; • ჩვენ შევავასეთ ყოველი არსებითი შემოსავლის წყაროს შემოსავლების პროგნოზის გონივრულობა ხელმძღვანელობასთან და სპეციალისტებთან დასაბუთებული მსჯელობების, საბაზრო ანალიზის და შემოსავლის წყაროების სასიცოცხლო ციკლის შეფასების საფუძველზე; • ჩვენ შევავასეთ დისკონტირების განაკვეთი, შევისწავლეთ დისკონტირების განაკვეთის გამოთვლის მეთოდოლოგია; • ჩვენ ჩავატარეთ მგრძნობელობის ანალიზი და შევავასეთ, ჩვენს ბაზრის ცოდნაზე დაყრდნობით, საკვანძო ვარაუდებში გონივრულად შესაძლებელი ცვლილებების ზეგავლენა მასზე. - ჩვენ შევავასეთ შესყიდვიდან წარმოშობილი უარყოფითი გუდვილის გამოთვლები და დავუპირისპირდით ამ ოპერაციის შედეგად სავაჭრო მოგების აღიარების მიზეზებს; ჩვენ შევავასეთ არის თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი დაკავშირებული ინფორმაცია შესაბამისი.

ხელმძღვანელობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ხელმძღვანელობის ანგარიშზე. აღნიშნული ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს და ჩვენ არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ დასკვნას.

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული ხელმძღვანელობის ანგარიშის გაცნობას, როდესაც ის ხელმისაწვდომი გახდება. განსაზღვრას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან შეიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს.

ხელმძღვანელობის ანგარიშის გაცნობის შემდეგ, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, სხვა ინფორმაცია:

- არის თუ არა შესაბამისობაში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ყველა მონაცემს, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთ მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებიან, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, უნდა შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული კომპანიების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ გამოვთქვათ აზრი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ „ჯგუფის“ აუდიტის წარმართვაზე და მის ზედამხედველობაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ასევე წარვუდგენთ ჩვენს მიერ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფ ანგარიშს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და გავუზიარებთ მათ ინფორმაციას ყველა ურთიერთობის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა ეხებოდეს ჩვენს დამოუკიდებლობას და, შესაბამის შემთხვევაში, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ზომებს.



სს სილქნეტი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 5

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაზიარებულ საკითხებზე დაყრდნობით, ჩვენ განვსაზღვრავთ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების პროცესში და რომლებიც მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხებს განეკუთვნებიან. აღნიშნულ საკითხებს განვიხილავთ აუდიტორთა ანგარიშში, თუ კანონი ან მარეგულირებელი პროცედურები არ გამოიციხავენ ამგვარი საკითხების გაცემას ან, როდესაც, განსაკუთრებით იშვიათ ვითარებაში, ჩვენ განვსაზღვრავთ, რომ საკითხი არ უნდა იქნას წარმოდგენილი ჩვენს ანგარიშში, იმ მიზეზით, რომ ამგვარი ქცევის უარყოფითმა გავლენამ შესაძლოა გადაჭონოს შესაბამისი კომუნიკაციის საზოგადოებრივი ინტერესის ბენეფიტები.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia”

1 მარტი 2019 წელი



სს სილქნეტი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
გვერდი 5

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაზიარებულ საკითხებზე დაყრდნობით, ჩვენ განვსაზღვრავთ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების პროცესში და რომლებიც მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხებს განეკუთვნებიან. აღნიშნულ საკითხებს განვიხილავთ აუდიტორთა ანგარიშში, თუ კანონი ან მარეგულირებელი პროცედურები არ გამორიცხავენ ამგვარი საკითხების გაცემას ან, როდესაც, განსაკუთრებით იშვიათ ვითარებაში, ჩვენ განვსაზღვრავთ, რომ საკითხი არ უნდა იქნას წარმოდგენილი ჩვენს ანგარიშში, იმ მიზეზით, რომ ამგვარი ქცევის უარყოფითმა გავლენამ შესაძლოა გადაწონოს შესაბამისი კომუნიკაციის საზოგადოებრივი ინტერესის ბენეფიტები.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
1 მარტი 2019 წელი



'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	370,216	194,519
არამატერიალური აქტივები და ხელშეკრულების დანახარჯები	14	212,339	16,526
სხვა გრძელვადიანი აქტივები	13	32,727	13,604
IRU* ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები		10,745	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		626,027	224,649
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	15	22,283	8,424
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	24	-	1,495
IRU* ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები		2,173	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	37,876	20,291
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	17	9,262	2,521
სულ მიმდინარე აქტივები		71,594	32,731
სულ აქტივები		697,621	257,380
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	18	68,172	68,172
დამატებითი შენატანები კაპიტალში		24,471	-
(დაგროვილი ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება		(18,198)	31,968
კომპანიის მესაკუთრეებისთვის განკუთვნილი კაპიტალი		74,445	100,140
არაკონტროლირებადი წილი		59	800
სულ კაპიტალი		74,504	100,940
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	19	375,791	71,482
სუბორდინირებული სესხი	19	30,546	-
თამასუქები	19	37,286	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	18,165	1,200
IRU* ხელშეკრულებებიდან			
მიღებული ავანსები	20	14,483	37,603
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		476,271	110,285
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	19	37,069	5,044
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	87,189	31,464
IRU* ხელშეკრულებებიდან			
მიღებული ავანსები	20	22,492	9,101
გადასახდელი მოგების გადასახადი		96	546
სულ მიმდინარე ვალდებულებები		146,846	46,155
სულ ვალდებულებები		623,117	156,440
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		697,621	257,380

* ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით

სს სილქნეტი

2018 წლის კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

‘000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი:			
კომერციული შემოსავალი	8	289,492	149,052
ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი	8	54,818	23,573
		344,310	172,625
ხარჯები და გასაღები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		(98,459)	(38,548)
ხელფასები და სარგებელი	10	(55,506)	(33,323)
შემენილი მომსახურება	9	(46,662)	(19,559)
სხვა ხარჯები	11	(31,565)	(13,926)
ურთიერთობებისა და როუმინგის ხარჯები		(28,956)	(6,895)
საოპერაციო იჯარის ხარჯი		(18,316)	(4,235)
ქსელის ტექნიკური მომსახურების ხარჯები		(16,494)	(13,985)
IPTV არხის იჯარა		(9,976)	(9,216)
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები		(4,659)	(1,898)
სიმ ბარათების, სასაუბრო ბარათებისა და სხვა გაყიდვების ხარჯები		(3,073)	-
შესყიდვიდან მიღებული სავაჭრო მოგება	25	41,845	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		72,489	31,040
ფინანსური შემოსავალი	7	2,722	397
ფინანსური ხარჯები	7	(47,242)	(13,856)
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან წმინდა (ზარალი)/მოგება	7	(37,527)	513
წმინდა ფინანსური ხარჯები	7	(82,047)	(12,946)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(9,558)	18,094
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(718)	(597)
(ზარალი)/მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(10,276)	17,497
(ზარალი)/მოგება და სხვა სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
კომპანიის მესაკუთრეებს		(9,535)	16,862
არაკონტროლირებადი წილების მესაკუთრეებს		(741)	635
		(10,276)	17,497

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 1 მარტს შემდეგი პირების მიერ:

დავით მამულაიშვილი
გენერალური დირექტორი

ბაია ფშავლიშვილი
ფინანსური დირექტორი

სს სილქნეტი

2018 წლის კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი:			
კომერციული შემოსავალი	8	289,492	149,052
ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი	8	54,818	23,573
		344,310	172,625
ხარჯები და გასაღებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		(98,459)	(38,548)
ხელფასები და სარგებელი	10	(55,506)	(33,323)
შემენილი მომსახურება	9	(46,662)	(19,559)
სხვა ხარჯები	11	(31,565)	(13,926)
ურთიერთობათვისა და როუმინგის ხარჯები		(28,956)	(6,895)
საოპერაციო იჯარის ხარჯი		(18,316)	(4,235)
ქსელის ტექნიკური მომსახურების ხარჯები		(16,494)	(13,985)
IPTV არხის იჯარა		(9,976)	(9,216)
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები		(4,659)	(1,898)
სიმ ბარათების, სასაუბრო ბარათებისა და სხვა გაყიდვების ხარჯები		(3,073)	-
შესყიდვიდან მიღებული სავაჭრო მოგება	25	41,845	-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		72,489	31,040
ფინანსური შემოსავალი	7	2,722	397
ფინანსური ხარჯები	7	(47,242)	(13,856)
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან წმინდა (ზარალი)/მოგება	7	(37,527)	513
წმინდა ფინანსური ხარჯები	7	(82,047)	(12,946)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(9,558)	18,094
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(718)	(597)
(ზარალი)/მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(10,276)	17,497
(ზარალი)/მოგება და სხვა სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
კომპანიის მესაკუთრეებს		(9,535)	16,862
არაკონტროლირებადი წილების მესაკუთრეებს		(741)	635
		(10,276)	17,497

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 1 მარტს შემდეგი პირების მიერ:

დავით მამულაიშვილი
გენერალური დირექტორი

ბაია ფშავლიშვილი
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგება / ზარალის და სხვა სრული შემოსავლის მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 12-53 გვერდებზე

'000 ლარი	კომპანიის მესაკუთრეებისთვის განკუთვნილი კაპიტალი				არაკონტროლირებადი წილი	სულ კაპიტალი
	სააქციო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	სულ		
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	68,172	-	28,188	96,360	165	96,525
ფასს 15-ის მიღებით გამოწვეული ცვლილება (შენიშვნა 5)	-	-	(1,379)	(1,379)	-	(1,379)
შეცვლილი ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	68,172	-	26,809	94,981	165	95,146
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი						
წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი	-	-	16,862	16,862	635	17,497
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან დივიდენდები (შენიშვნა 18 (c))	-	-	(11,703)	(11,703)	-	(11,703)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	68,172	-	31,968	100,140	800	100,940
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	68,172	-	31,968	100,140	800	100,940
ფასს 9-ის მიღებით გამოწვეული ცვლილება (შენიშვნა 5)	-	-	(768)	(768)	-	(768)
შეცვლილი ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	68,172	-	31,200	99,372	800	100,172
სულ წლის სრული შემოსავალი						
სულ წლის ზარალი და მთლიანი შემოსავალი	-	-	(9,535)	(9,535)	(741)	(10,276)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან						
მესაკუთრეების შენატანები (შენიშვნა 19(a) და 18 (b))	-	16,445	-	16,445	-	16,445
გაცემული „ქოლ ოპციონი“ (შენიშვნა 18 (b))	-	8,026	-	8,026	-	8,026
დივიდენდები (შენიშვნა 18 (c))	-	-	(39,863)	(39,863)	-	(39,863)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	68,172	24,471	(18,198)	74,445	59	74,504

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით
შენიშვნებთან ერთად, რომელიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ
ნაწილს და მოცემულია 12-53 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
აბონენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		338,901	173,349
სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისგან და IRU			
ხელშეკრულებებიდან მიღებული ფულადი სახსრები		32,968	23,905
თანამშრომლებისთვის და მათი სახელით გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(53,957)	(32,077)
ურთიერთჩართვის საფასურები და გადახდილი ხარჯები		(9,969)	(6,890)
მარაგების შესყიდვა		(14,765)	(12,833)
გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(47,647)	(22,824)
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,140)	(1,214)
ქსელის ტექნიკური მომსახურებისთვის გაწეული ხარჯები		(14,548)	(9,907)
სხვა გაწეული საოპერაციო ხარჯები*		(83,111)	(30,147)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		146,732	81,362
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(58,453)	(48,328)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(40,278)	(12,848)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		1,442	2,880
შვილობილი კომპანიების შეძენა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით	25	(329,711)	(511)
ინვესტიცია ვადიან ანაბარში		-	2,444
სესხების გაცემა		(727)	(570)
გაცემული სესხების დაფარვა		136	-
მიღებული პროცენტი		463	252
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(427,128)	(56,681)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები		423,545	113,378
სესხების დაფარვა		(67,006)	(119,256)
გადახდილი პროცენტი		(33,633)	(8,715)
გადახდილი დივიდენდები		(36,417)	(8,788)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		286,489	(23,381)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე		648	(59)
წმინდა მატება ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებში		6,741	1,241
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	17	2,521	1,280
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	17	9,262	2,521

* შპს „ჯეოსელი“-ს შეძენასთან დაკავშირებით ჯგუფმა გადაიხადა საკონსულტაციო, იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურების თანხები დაახლოებით 11,528 ათასი ლარის ოდენობით.

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „სილქნეტის“ (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრაციის ნომერით 204566978 და მისი შვილობილი კომპანიების (შენიშვნა 25) ფინანსურ ანგარიშგებებს (ერთად მოხსენიებული „ჯგუფად“ და ცალკე „ჯგუფის საწარმოებად“). მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და სააქციო საზოგადოებებს წარმოადგენენ და ისინი რეგისტრირებული და დაფუძნებული არიან საქართველოში.

კომპანიის იურიდიული მისამართია წინამძღვრიშვილის ქ. №95, თბილისი, 0112 საქართველო.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში კორპორატიული და ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო მომსახურებებს, მობილური ინტერნეტის, ფიქსირებული ინტერნეტის და ინტერნეტ-ტელევიზიის (IPTV) მომსახურებებს, ესემეს მომსახურებას (მოკლე ტექსტური შეტყობინება) და მიწისქვეშა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის იჯარას.

2018 წლის 20 მარტს ჯგუფმა შეიძინა საქართველოს სიდიდით მეორე მობილური ოპერატორის (შპს „ჯეოსელი“) 100 %-იანი წილი, 151.7 მილიონი დოლარად, რაც უხეშად შეესაბამება EV/EBITDA კოეფიციენტს 4.5-ს. ჯეოსელს აქვს 1.7 მილიონზე მეტი ხმოვანი მობილური მომსახურეობის და თითქმის 1 მილიონი მობილური ინტერნეტის აბონენტების ბაზა, რაც წარმოადგენს ადგილობრივი ბაზრის დაახლოებით 35%-ს და მოაქვს შემოსავალი მისი ძირითადი მომსახურებებიდან, რომლებიცაა ხმოვანი მობილური მომსახურება, მობილური ინტერნეტი, ურთიერთობით, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, მობილური მოწყობილობების გაყიდვა და სხვა. გადახდილი თანხა მოიცავდა ჯეოსელის მიერ Fintur Holdings B.V („Fintur“-ის (ჯეოსელის მშობელი კომპანია) სესხის დაფარვას.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯეოსელი განაგრძობს თავის საქმიანობას სილქნეტის ბრენდის ქვეშ. ჯეოსელის შესყიდვის შედეგად შეიცვალა ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების შემადგენლობა, ისევე როგორც მისი საბალანსო ნაშთები. შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბერთან შედარებით აღინიშნებოდა შემდეგი ცვლილებები: ზრდა ძირითად საშუალებებში, IRU ხელშეკრულებთან დაკავშირებულ წინასწარ გადახდებში, მარაგებში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში და IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ავანსები.

ასევე, 2018 წლის კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში შეიცვალა შემდეგი მუხლები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობასთან შედარებით: შემოსავლები, ურთიერთჩართვისა და როუმინგის ხარჯები, ცვეთა და ამორტიზაცია, შეძენილი მომსახურება, ხელფასები და სარგებელი და სხვა ხარჯები. ჯეოსელის შეძენის შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯგუფის სესხები და მასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები.

2018 წლის 20 მარტს (იხ. შენიშვნა 25), ჯეოსელის შეძენის შემდგომ ჯგუფმა წარმართა თავისი საქმიანობა ორ საოპერაციო სეგმენტად, ფიქსირებული კავშირგაბმულობა (სს სილქნეტი) და მობილური კომუნიკაციები (შპს ჯეოსელი). ინფორმაცია ჯგუფის საოპერაციო სეგმენტებზე მოყვანილია შენიშვნა 6-ში „საოპერაციო სეგმენტები“.

2018 წლის ივნისში, კომპანიის გრძელვადიანი დეფოლტ რეიტინგი იქნა გადახედილი და შეფასებული როგორც 'B+' -ი, სტაბილური პერსპექტივით.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია „Rhinestream holdings Limited“ („მფლობელი“), მალტაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი გიორგი რამიშვილი. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან აღწერილია 24-ე შენიშვნაში.

ჯგუფმა მოახდინა ზოგიერთი მუხლის რეკლასიფიკაცია, რათა უკეთ ასახოს ჯგუფის ოპერაციები (შესადარისი თანხები რეკლასიფიცირებულია შემდეგნაირად).

	როგორც წარმოდგენილი იყო 2017 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებამდე		რეკლასიფიკაცია	როგორც წარმოდგენილი იყო 2017 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
შემოსავალი:	172,625			
კომერციული შემოსავალი	-	149,052		149,052
ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი	-	23,573		23,573
ხარჯები და გასავლები:				
ცვეთა და ამორტიზაცია	(38,548)	-		(38,548)
ხელფასები და სარგებელი	(33,323)	-		(33,323)
შეძენილი მომსახურება	(37,568)	18,009		(19,559)
ქსელის ტექნიკური მომსახურების ხარჯები	-	(13,985)		(13,985)
IPTV არხის იჯარა	-	(9,216)		(9,216)
ურთიერთჩართვისა და როუმინგის ხარჯები	-	(6,895)		(6,895)
საოპერაციო იჯარის ხარჯი	-	(4,235)		(4,235)
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები	-	(1,898)		(1,898)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(31,335)	17,409		(13,926)
სხვა შემოსავალი	(811)	811		-
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	31,040	-		31,040
ფინანსური შემოსავალი	397	513		910
ფინანსური ხარჯი	(13,856)	-		(13,856)
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	513	(513)		-
მოგება დაბეგრამდე	18,094	-		18,094
მოგების გადასახადის ხარჯი	(597)	-		(597)
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი	17,497	-		17,497
მოგება და სულ სრული შემოსავალი				
მიკუთვნებადი:				
კომპანიის მესაკუთრეზე	16,862	-		16,862
არაკონტროლირებადი წილი	635	-		635
	17,497	-		17,497

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის ანგარიშგება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც წარმოადგენს ჯგუფის საწარმოების სამუშაო ვალუტას. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ლარში ნაჩვენები ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

4. შესაბამისობების და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთ მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკასთან მიმართებაში გამოყენებულ ყველაზე კრიტიკული მსჯელობების, დაშვებების და შეფასებების შესახებ, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შენიშვნა 5 ში „ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში“ და შენიშვნა 27 (g) (iii)-ში - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა

ჯგუფის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა საჭიროებს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- *დონე 1:* კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2:* შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია, აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3:* მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნებიან დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები შეიძლება დაჯგუფდეს სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებად, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის შესახებ მოცემულია შენიშვნაში 21(ა) „ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება“.

5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში

ქვემოთ მოცემული ცვლილებების გარდა, წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში ჯგუფი თანმიმდევრულად იყენებს სააღრიცხვო პოლიტიკებს.

ჯგუფმა ვადაზე ადრე მიიღო ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (შემდგომში „ფასს 15“), რომლის პირველადი გამოყენების თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. ჯგუფმა მოახდინა „ფასს 15“ დანერგვა კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს „ფასს 15“-ის კუმულაციური ეფექტის ასახვას კაპიტალის საწყის ნაშთზე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ფასს 15-ს გამოყენების მთლიანი გავლენა კომპანიის კაპიტალის საწყის ნაშთზე 2017 წლის 1 იანვრისთვის იყო კლება 1,379 ლარით.

ჯგუფმა დანერგა ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები 2018 წლის 1 იანვრიდან კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით, კუმულაციური ეფექტის 2018 წლის 1 იანვარს გაუნაწილებელ მოგებაში აღიარებით. ასე რომ, შესადარისი ინფორმაცია არ არის ხელახლა წარდგენილი.

ფასს 9 განსაზღვრავს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და ზოგიერთი არა ფინანსური ერთეულების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების აღიარების და აღრიცხვის მოთხოვნებს. ამ სტანდარტმა ჩაანაცვლა ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტი: აღიარება და შეფასება“.

ფასს 9-ს დანერგვის სრულმა გავლენამ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული და ფულად სახსრებთან და მის ეკვივალენტებთან დაკავშირებული ცვლილებით განაპირობა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის საწყისი ბალანსის შემცირება 768 ათასი ლარის ოდენობით.

6. საოპერაციო სეგმენტები

2018 წლის 20 მარტს ჯეოსელის შესყიდვის შემდეგ, ჯგუფი მართავს ორ საოპერაციო სეგმენტს, ფიქსირებული კავშირგაბმულობა და მობილური კომუნიკაციები. კომპანიის შემოსავლების დიდი ნაწილი გენერირდება საქართველოში, ამიტომ გეოგრაფიულ მდებარეობაზე ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. ინფორმაცია თითოეულ საოპერაციო სეგმენტზე მოყვანილია ქვემოთ.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ თითოეული საოპერაციო სეგმენტის შედეგების შესაფასებლად ყველაზე რელევანტური არის შემოსავლების, საოპერაციო მოგების, აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის წარდგენა. შემოსავლები და საოპერაციო მოგება ფიქსირებული კავშირგაბმულობის სეგმენტისათვის მოყვანილია 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. შემოსავლები და საოპერაციო მოგება მობილური კავშირგაბმულობის სეგმენტისათვის ასახავს შესყიდვის შემდგომ კომპანიის ოპერაციებს, 2018 წლის 20 მარტიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე. შემოსავლები, აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მთლიანად მიეკუთვნება ფიქსირებული კავშირგაბმულობის სეგმენტს.

ჯგუფი მართავს ფულად ნაკადებს და მისი ეკვივალენტებს, სესხებს და კრედიტებს, სუბორდინირებულ სესხს და თამასუქების ვალდებულებებს ცენტრალიზებული სისტემის გამოყენებით, შედეგად ხელმძღვანელობა ასახავს სესხის მთლიან ოდენობას, ფულად ნაკადებს და მის ეკვივალენტებს, ასევე ფინანსურ ხარჯებს და შესაბამის უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მოგებას/(ზარალს) გაუნაწილებელი თანხების სვეტში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	მობილური კომუნიკაცია	ფიქსირებული კავშირგაბმულ ობა	გადაუნაწილებელი თანხები	სულ
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	174,554	195,662	-	370,216
არამატერიალური აქტივები და სახელშეკრულებო ხარჯები	177,410	34,929	-	212,339
სხვა გრძელვადიანი აქტივები	16,979	15,399	348	32,726
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარ გადახდები	10,745	-	-	10,745
სულ გრძელვადიანი აქტივები	379,688	245,990	348	626,026
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	9,106	13,177	-	22,283
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარ გადახდები	2,173	-	-	2,173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,931	24,414	2,530	37,875
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	9,264	9,264
სულ მიმდინარე აქტივები	22,210	37,591	11,792	71,595
სულ აქტივები	401,898	283,581	12,142	697,621
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	-	-	375,791	375,791
სუბორდინირებული სესხი	-	-	30,546	30,546
თამასუქები	-	-	37,286	37,286
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,248	6,917	-	18,165
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	-	14,483	-	14,483
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	11,248	21,400	443,623	476,271
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	-	-	37,069	37,069
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	44,260	29,095	13,833	87,188
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	14,479	7,720	294	22,492
გადასახდელი მოგების გადასახადი	-	97	-	97
სულ მიმდინარე ვალდებულებები	58,739	36,912	51,196	146,846
სულ ვალდებულებები	69,987	58,312	494,819	623,117
წმინდა აქტივები	331,911	225,269	(482,679)	74,504

* გაუნაწილებელ თანხებში მოყვანილი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ძირითადად შედგება აქციონერებზე გადასახდელი დივიდენდებისგან 6.5 მილიონი ლარის ოდენობით და შპს ჯეოსელის საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების გაწევასთან და ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს (დაახლოებით 5 მილიონი ლარის ოდენობით).

ჯეოსელის შესყიდვის თარიღიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე ჯგუფის მიერ მობილური კომუნიკაციის სეგმენტის მიმართულებით გაწეულმა კაპიტალურმა ხარჯებმა შეადგინა დაახლოებით 65,868 ლარი (საიდანაც 27,862 ათასი ლარი მიეკუთვნება ძირითად საშუალებებს და 37,821 ათასი ლარი - არამატერიალურ აქტივებს). ფიქსირებულ კავშირგაბმულობის საოპერაციო სეგმენტის მიმართულებით გაწეული კაპიტალური ხარჯები ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო დაახლოებით 37,605 ათასი ლარი და 26,835 ლარი, შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კაპიტალური ხარჯები სრულად მიეკუთვნებოდა ფიქსირებული კავშირგაბმულობის სეგმენტს.

მოგება ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება	მობილური კომუნიკაცია	ფიქსირებული კავშირგაბმულობა	მობილური კომუნიკაციის ელიმინაცია	ფიქსირებული კავშირგაბმულობის ელიმინაცია	გადაუნაწილები ლი თანხები	სულ
სეგმენტის შემოსავალი	178,500	173,814	(2,735)	(5,269)	-	344,310
ცვეთა და ამორტიზაცია	(52,101)	(46,358)	-	-	-	(98,459)
სხვა ხარჯები*	(98,226)	(103,446)	5,269	2,735	(21,539)	(215,207)
სავაჭრო მოგება შესყიდვიდან**	-	-	-	-	41,845	41,845
სეგმენტის საოპერაციო მოგება ფინანსური	28,173	24,010	2,534	(2,534)	20,306	72,489
შემოსავალი	665	2,057	-	-	-	2,722
ფინანსური ხარჯი	-	-	-	-	(84,769)	(84,769)
სეგმენტის მოგება (ზარალი)	28,838	26,067	2,534	(2,534)	(64,463)	(9,558)
მოგების გადასახადის ხარჯი	(19)	(699)	-	-	-	(718)
წლის (ზარალი)/მოგება	28,819	25,368	2,534	(2,534)	(64,463)	(10,276)

* სხვა ხარჯების გადაუნაწილებელი თანხა ძირითადად შედგება საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ჯეოსელის შეძენასთან (დაახლოებით 13 მილიონი ლარი), შერწყმასა და ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან.

** სავაჭრო მოგება შესყიდვიდან უკავშირდება ჯეოსელის შეძენას.

7. წმინდა ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2018	2017
მოგება ან ზარალში აღიარებული		
საპროცენტო შემოსავალი სესხებსა და მოთხოვნებზე	1,374	397
IRU ხელშეკრულებების წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული საპროცენტო შემოსავალი	1,348	-
ფინანსური შემოსავალი	2,722	397
საპროცენტო ხარჯი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(44,916)	(9,885)
IRU ხელშეკრულებებიდან მიღებულ ავანსებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(2,326)	(3,971)
ფინანსური ხარჯები	(47,242)	(13,856)
წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტის გაცვლიდან	(37,527)	513
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	(82,047)	(12,946)

8. შემოსავალი

'000 ლარი	2018	2017
კომერციული შემოსავალი	289,492	149,052
მობილური გამავალი ზარის სერვისი	83,658	-
ინტერნეტ მომსახურება	83,243	86,195
მობილური ინტერნეტ მომსახურება	40,589	-
ინტერნეტ ტელევიზია	36,025	29,687
ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება	22,382	25,868
შემოსავალი ესემესებიდან	9,507	-
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	7,180	2,330
ტელეფონების და სატელეფონო აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	2,597	-
უკაბელო სატელეფონო ("CDMA") მომსახურება	2,538	3,237
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის იჯარის მომსახურება	1,773	1,735
ოპერატორებისგან მიღებული და სხვა მომსახურებიდან შემოსავალი	54,818	23,573
ურთიერთჩართვის მომსახურება *	38,725	11,668
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის იჯარის მომსახურება	7,876	9,260
შემოსავალი როუმინგიდან	6,373	-
ინტერნეტ მომსახურება	1,844	2,645
სულ შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	344,310	172,625

ტარიფები, გარდა ურთიერთჩართვის მომსახურებისა, არ წარმოადგენს სახელმწიფო რეგულაციების საგანს.

* 2017 წლის ოქტომბერში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაადგინა ადგილობრივი ურთიერთჩართვის ახალი ტარიფები, რომლებიც ძალაში შევიდა ნაწილობრივ 2018 წლის ივლისიდან და სრულად - 2019 წლის იანვრიდან. ზემოთ მოყვანილი ტარიფების განსაზღვრა ეფუძნება გრძელვადიანი დამატებითი ფასების განსაზღვრებას (LRIC) და მნიშვნელოვნად დაბალია 2017 წელს და მანამდე პერიოდის განმავლობაში მოქმედ ტარიფებზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მობილური კომუნიკაციის სეგმენტი მოიცავს შემდეგი ტიპის შემოსავლებს: მობილური გამავალი ზარის მომსახურება, მობილური ინტერნეტის მომსახურება, ესემეს მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი, ტელეფონის და სატელეფონო აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და როუმინგის შემოსავალი. ფიქსირებული კავშირგაბმულობის სეგმენტი მოიცავს შემდეგი ტიპის შემოსავლებს: ინტერნეტ მომსახურება, ინტერნეტ ტელევიზია, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება, უსადენო სატელეფონო ("CDMA") მომსახურება და IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის იჯარის მომსახურება. ურთიერთჩართვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი და სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი გენერირებულია ორივე სეგმენტის მიერ შემდეგნაირად: 33,018 ათასი ლარი მობილური კომუნიკაციის სეგმენტიდან და 12,887 ათასი ლარი ფიქსირებული კავშირგაბმულობის სეგმენტიდან.

ზემოთ განსაზღვრულ ცვლილებებს, ყველა სხვა თანაბარ პირობებში, ნეგატიური გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ დაბეგვრამდე არსებულ მოგებაზე, როგორც მობილური კომუნიკაციის, ისე ფიქსირებული კავშირგაბმულობის სეგმენტისთვის. ხელმძღვანელობა ვარაუდობს რომ 2018 წლის კონსოლიდირებულ წმინდა შემოსავალზე გავლენა იყო დაახლოებით 1,5 მილიონი ლარის ოდენობით, 2017 წელთან შედარებით და 2019 წლიდან ყოველწლიურად დაახლოებით 6 მილიონი ლარით გაიზრდება.

გარდა მობილური კომუნიკაციების სეგმენტის შემოსავლებისა (მობილური ხმოვანი, ურთიერთჩართვის მომსახურების ნაწილი, მობილური ინტერნეტი, შემოსავალი სხვა მობილური მომსახურებიდან და როუმინგის შემოსავალი), ბიზნესი არ არის სეზონური და რჩება უცვლელი მთელი წლის განმავლობაში. მობილური კომუნიკაციების სეგმენტიდან მიღებული შემოსავლები წლის მეორე ნახევარში, როგორც წესი, დაახლოებით 10-15 მილიონი ლარით მეტია, ვიდრე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ ძირითად შემოსავლის წყაროებთან დაკავშირებით არ მომხდარა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილება, გარდა ჯეოსელის შეძენასთან დაკავშირებული დამატებითი შემოსავლის წყაროებისა.

9. შესყიდული მომსახურებები

'000 ლარი	2018	2017
პროფესიული ხარჯები *	22,645	7,309
პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მომსახურება	8,734	2,494
კომუნალური ხარჯები	7,893	3,254
ინტერნეტ მომსახურების ხარჯი	3,583	3,524
ინტერნეტის არხის ხარჯები	3,392	2,828
სხვა შესყიდული მომსახურებები	415	150
სულ შესყიდული მომსახურებები	46,662	19,559

* 2018 წელს ჯგუფის მიერ ჯეოსელის შეძენასთან დაკავშირებით გაწეული საკონსულტაციო, იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯებმა შეადგინა დაახლოებით 13,072 ათასი ლარი (იხ. შენიშვნა 25). პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტორულ ხარჯებს 312 ათასი ლარის ოდენობით (2017: 202 ათასი ლარის ოდენობით).

10. ხელფასები და ანაზღაურება

'000 ლარი	2018	2017
ხელფასები	47,980	28,640
ბონუსები	5,691	3,968
თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა	731	440
სხვა სარგებელი	1,104	275
სულ ხელფასები და სარგებელი	55,506	33,323

11. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2018	2017
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	4,719	650
წელა მოძრავი მარაგების და სხვა გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	4,170	354
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	4,129	1,940
გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი	4,113	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	2,638	1,776
ბანკის საკომისიო	2,635	1,810
საკომუნიკაციო რეგულაციების საკომისიო	2,578	1,244
უსაფრთხოების ხარჯები	1,879	1,119
მოხმარებული საწვავ-საპოხი მასალა	1,253	421
მივლინების ხარჯი	1,163	662
სხვა ხარჯები	2,288	3,950
სულ	31,565	13,926

12. დაბეგვრა

(ა) მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები

'000 ლარი	2018	2017
მიმდინარე წელი	(718)	(1,595)
წინა წლების კორექტირება	-	998
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი	(718)	(597)
მოგების გადასახადის ხარჯი	(718)	(597)

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ხსენებული ცვლილება ამოქმედდა ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე, ჯგუფმა ცვლილების სრული გავლენა აღიარა წინა პერიოდებში აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ჩამოწერით მიმდინარე წლის მოგება ან ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც მოგების გადასახადის სარგებელი.

(ბ) მოქმედი საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

	2018		2017	
	'000 ლარი	%	'000 ლარი	%
გამოცხადებული დივიდენდები	39,863		11,703	100
დივიდენდები რომლებზეც CIT არ გამოიყენება	(36,783)		-	
დივიდენდები რომლებზეც CIT გამოიყენება	3,080	100	-	-
გადასახადი ჯგუფის ადგილობრივი საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით	544	18	2,087	18
საგადასახადო ვალდებულებების ჩამოწერა დივიდენდებზე	(259)	(8)	(994)	(8)
ცვლილება აღიარებულ დაქვითვად დროებით სხვაობებში	-	-	(998)	(9)
მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი სხვა არა გამოქვითად ხარჯებზე	433	14	502	4
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	718	23	597	5

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ საგადასახადო სარგებელი, რომელიც ხელმისაწვდომია მომავალში გასანაწილებელი მოგებისთვის შეადგენს 981 ათას ლარს (2017 წლის 31 დეკემბერს: 1,785 ათასი ლარი).

13. ძირითადი საშუალებები და სხვა გრძელვადიანი აქტივები

'000 ლარი	მიწა	შენიშვნები და ინფრასტრუქტურები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	21,198	109,281	169,450	4,450	13,122	611	318,112
დაგროვილი ცვეთა	-	(30,070)	(86,848)	(3,831)	(9,617)	-	(130,366)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	21,198	79,211	82,602	619	3,505	611	187,746
შესყიდვები	15	83	21,254	-	523	19,228	41,103
გაყიდვები	(563)	(1,867)	(6,451)	(56)	(96)	-	(9,033)
გადაცემა და სხვა	-	3,598	14,935	138	45	(19,763)	(1,047)
ცვეთის გასვლა	-	639	4,304	51	85	-	5,079
ცვეთის ხარჯი	-	(2,150)	(26,324)	(195)	(660)	-	(29,329)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	20,650	79,514	90,320	557	3,402	76	194,519
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	20,650	111,095	199,188	4,532	13,594	76	349,135
დაგროვილი ცვეთა	-	(31,581)	(108,868)	(3,975)	(10,192)	-	(154,616)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	20,650	79,514	90,320	557	3,402	76	194,519
ბიზნეს კომბინაციიდან შეძენა	7,846	11,058	149,924	3,040	12,308	-	184,176
შესყიდვები	2	19	37,090	27	5,260	23,070	65,468
გაყიდვები	(2,081)	(4,376)	(7,702)	(365)	(92)	(4)	(14,620)
გადაცემა და სხვა	5	963	15,545	744	14	(18,824)	(1,553)
ცვეთის გასვლა	-	1,590	3,760	178	86	-	5,614
ცვეთის ხარჯი	-	(2,508)	(56,306)	(1,126)	(3,448)	-	(63,388)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	26,422	86,260	232,631	3,055	17,530	4,318	370,216
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	26,422	118,759	394,045	7,978	31,084	4,318	582,606
დაგროვილი ცვეთა	-	(32,499)	(161,414)	(4,923)	(13,554)	-	(212,390)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	26,422	86,260	232,631	3,055	17,530	4,318	370,216

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულებამ შეადგინა 13,789 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 12,214 ათასი ლარი).

(ა) უზრუნველყოფა

2018 წლის 31 დეკემბერს საბანკო სესხები (იხილეთ შენიშვნა 19) უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, რომელთა საბალანსო ღირებულებაა 365,898 ათასი ლარი (2017 წელს: 194,443 ათასი ლარი).

(ბ) სხვა გრძელვადიანი აქტივები

2018 წლის 31 დეკემბერს სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავდა დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს 26,471 ათასი ლარის ოდენობით და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებს 6,162 ათასი ლარის ოდენობით (2017 წელს დაუმონტაჟებელი მოწყობილობები 11,644 ათასი ლარი, გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილ ავანსები - 1,863 ათასი ლარი).

(გ) კაპიტალური და სხვა ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნია პროექტის დასრულებასთან დაკავშირებული კაპიტალური და სხვა ვალდებულებები დაახლოებით 5 მილიონი ლარის ოდენობით, რაზეც ჯგუფს აქვს შემზღუდველი ვალდებულება.

14. არამატერიალური აქტივები და ხელშეკრულების დანახარჯები

'000 ლარი	ქსელის ოპერირების და კომპიუტერული უზრუნველყოფის ლიცენზია		სატელეკომუნიკაციო სამაუწყებლო უფლებები		CSAC*	სულ
	ლიცენზია	ო ლიცენზიები	უფლებები	გუდვილი		
თვითღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	12,447	19,402	11,657	2,894	-	46,400
დაგროვილი ამორტიზაცია	(8,260)	(16,311)	(5,346)	-	-	(29,917)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	4,187	3,091	6,311	2,894	-	16,483
შესყიდვები	1,677	1,984	3,473	-	2,128	9,262
ამორტიზაციის ხარჯი	(1,448)	(2,281)	(4,904)	-	(586)	(9,219)
გაყიდვები და აღიარებების შეწყვეტა, ბრუტო	-	(1,780)	-	-	-	(1,780)
გაყიდვების და აღიარებების შეწყვეტა, ამორტიზაცია	-	1,780	-	-	-	1,780
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	4,416	2,794	4,880	2,894	1,542	16,526
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	14,124	19,606	15,130	2,894	2,128	53,882
დაგროვილი ამორტიზაცია	(9,708)	(16,812)	(10,250)	-	(586)	(37,356)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	4,416	2,794	4,880	2,894	1,542	16,526
ბიზნეს კომბინაციიდან შეძენა	34,864	132,489	-	4,089	428	171,870
შესყიდვები	15,451	26,672	21,648	-	883	64,654
ამორტიზაციის ხარჯი	(13,276)	(10,547)	(9,897)	-	(1,351)	(35,071)
გაყიდვები და აღიარებების შეწყვეტა, ბრუტო	(6,461)	-	-	-	-	(6,461)
გაყიდვების და აღიარებების შეწყვეტა, ამორტიზაცია	821	-	-	-	-	821
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	35,815	151,408	16,631	6,983	1,502	212,339
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	57,978	178,767	36,778	6,983	3,439	283,945
დაგროვილი ამორტიზაცია	(22,163)	(27,359)	(20,147)	-	(1,937)	(71,606)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	35,815	151,408	16,631	6,983	1,502	212,339

* CSAC-აბონენტის აყვანასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაცია

ყველაზე მნიშვნელოვანი სატელეკომუნიკაციო ლიცენზიების მოქმედების ვადები და წმინდა საბალანსო ღირებულებები 31 დეკემბერის მდგომარეობით:

ლიცენზიის № და ტექნოლოგია	(RF) სპექტრი	მოქმედების ვადა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
			'000 ლარი	'000 ლარი
F98 (LTE**)	2,300 MHz - 2,350 MHz	აგვისტო, 2026	907	1,032
F48 (LTE**)	2,299 MHz - 2,350 MHz	მაისი, 2026	143	474
F53 (LTE**)	2,300 MHz - 2,350 MHz	იანვარი, 2027	476	535
F36		დეკემბერი, 2026	754	-
F54		დეკემბერი, 2026	901	-
F105 800 MHZ	800 MHZ	ოქტომბერი, 2033	24,099	-
სიხშირის ლიცენზია		დეკემბერი, 2022	819	-
სიხშირის ლიცენზია 900 MHZ	900 MHZ	იანვარი, 2030	40,769	-
სიხშირის ლიცენზია 1800 MHZ	1800 MH	იანვარი, 2030	62,536	-
სიხშირის ლიცენზია 2100 MHZ	2100 MHZ	იანვარი, 2030	19,070	-
			150,474	2,041

15. მარაგები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საინსტალაციო მასალები	10,373	3,452
ოპტიკური კაბელები	3,906	1,181
მობილური ტელეფონები და აქსესუარები	1,903	179
საწვავი	1,236	128
სხვა	4,865	3,484
სულ	22,283	8,424

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოთხოვნები აბონენტებისგან	16,922	12,362
მოთხოვნები სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისგან	8,106	2,088
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	5,393	1,604
სულ სავაჭრო მოთხოვნები	30,421	16,054
ავანსად გადახდილი თანხები	7,455	4,237
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	37,876	20,291

ინფორმაცია ჯგუფის საკრედიტო და სავალუტო რისკების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გავლენის შესახებ, წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

17. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ბანკში არსებული ნაშთები	8,762	2,267
ფულადი სახსრები გზაში	490	254
ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები (ნაღდი ფული)	10	-
სულ ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	9,262	2,521

ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო და სავალუტო რისკების და მგრძნობელობის ანალიზის შესახებ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებზე, წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

18. კაპიტალი

(ა) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ პერიოდულად მიიღონ გამოცხადებული დივიდენდები და მონაწილეობა მიიღონ კომპანიის კრებებში ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლების პრინციპის შესაბამისად. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სესხები (იხ. შენიშვნა 19) უზრუნველყოფილია კომპანიის სააქციო კაპიტალით.

<i>აქციების რაოდენობა</i>	<i>ჩვეულებრივი აქციები</i>	
	2018	2017
გამოშვებული 1 იანვარს	68,171,901	68,171,901
გამოშვებული 31 დეკემბერს, სრულად გადახდილი	68,171,901	68,171,901
ავტორიზებული აქციები - ნომინალური ღირებულება	1	1

(ბ) დამატებითი შენატანები კაპიტალში

2018 წლის მარტში კომპანიის მეწილე „Rhinestream Holdings Limited“-მა გასცა სესხი 17 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ეს სესხი მშობელი კომპანიისგან აღებული იქნა არა საბაზრო პირობებით, რის შედეგადაც წარმოიშვა დამატებითი შენატანი კაპიტალში 16,445 ათასი ლარის ოდენობით (იხ. შენიშვნა 19(ა)).

2018 წლის ივნისში ჯგუფმა სს თიბისი ბანკის სასარგებლოდ, როგორც ჯეოსელის შესყიდვაზე მიღებული დაფინანსების ნაწილი (იხ. შენიშვნა 19), გამოსცა „ქოლ“ ოპციონი 4,795,000 ჩვეულებრივ აქციაზე, რაც წარმოადგენდა საკუთრების 6.6%-ს განზავებულ საფუძველზე. ოპციონის გამოყენების ფასი არის 5.214 ლარი ერთ აქციაზე, ჯამური ღირებულებით 25,000 ათასი ლარი. ოპციონი გამოყენებადია 5 წლის ვადაში ნებისმიერ დროს, ან უპირობოდ ლიკვიდურობის შემთხვევის დადგომისას, რაც განმარტებულია როგორც პირველადი საჯარო შეთავაზება (IPO) ან კომპანიის 100%-იანი წილის გაყიდვა.

„ქოლ“ ოპციონის სამართლიანი ღირებულება ჯეოსელის შეძენის/თიბისი-სგან დაფინანსების მიღების თარიღში აღირიცხა, როგორც კაპიტალ ინსტრუმენტი. სამართლიანი ღირებულება 8,026 ათასი ლარის ოდენობით დამატებულია კაპიტალში დამატებით შენატანებზე და აღიარდება ხარჯად მოგებაში ან ზარალში ჯეოსელის შეძენასთან დაკავშირებული სესხების ამორტიზაციის გავლით (შენიშვნა 19). რადგანაც ოპციონი კაპიტალ ინსტრუმენტია, არანაირი ცვლილება სამართლიან ღირებულებაში არ არის ასახული მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

(გ) დივიდენდები

2018 წელს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები 39,863 ათასი ლარის ოდენობით (2017 წელს: 11,703 ათასი ლარი). ეს წარმოადგენდა დივიდენდებს აქციაზე 0.59 ლარის ოდენობით (2017 წელს: 0.17 ლარი აქციაზე). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დივიდენდები 6,484 ათასი ლარის ოდენობით (2017: 3,038 ათასი ლარის ოდენობით (იხ. შენიშვნა 20)) არის გადაუხდელი და შედის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში.

(დ) კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის დამტკიცებული პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, ჯგუფის შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით, რომლებსაც ჯგუფი ძირითადად საოპერაციო ფულადი ნაკადებით, გრძელვადიანი სესხების და კრედიტების საშუალებით აფინანსებს. ზემოთხსენებულის გათვალისწინებით ჯგუფი ორიენტირებულია მოგების სტაბილურ ზრდაზე.

კომპანიას და მის შვილობილებს არ აქვთ გარეშე პირისგან დაწესებული რაიმე შეზღუდვა კაპიტალზე.

19. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტის მატარებელი სესხების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფზე საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკის ზემოქმედების შესახებ, წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები – გრძელვადიანი	315,025	37,482
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები – გრძელვადიანი	60,766	34,000
	375,791	71,482
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები – მიმდინარე	36,642	4,619
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები – მიმდინარე	427	425
	37,069	5,044
სუბორდინირებული სესხი - გრძელვადიანი	30,546	-
	30,546	-
	443,406	76,526

(ა) ვადები და სესხის დაფარვის გრაფიკი

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

31 დეკემბერი 2018					
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	აშშ დოლარი	7.5%+ 6 თვიანი Libor განაკვეთი	2025	268,738	261,497
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	აშშ დოლარი	11%+ 6 თვიანი Libor განაკვეთი	2025	26,876	26,876
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	ლარი	12%	2024	37,630	37,630
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	ლარი	11.7%	2024	25,664	25,664
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები	აშშ დოლარი	8.50%	2021	26,772	26,772
		3.5 % + რეფინანსირების განაკვეთი	2022	34,421	34,421
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები	ლარი			420,101	412,860
სულ სესხები და კრედიტები				420,101	412,860
31 დეკემბერი 2017					
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	GEL	12% 3.5% + რეფინანსირების განაკვეთი	2024	42,101	42,101
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები	GEL		2022	34,425	34,425
სულ სესხები და კრედიტები				76,526	76,526

ჯეოსელის შესყიდვის დასაფინანსებლად, კომპანიამ და სს თიბისი ბანკმა 2018 წლის 16 მარტს მოაწერეს ხელი სასესხო ხელშეკრულებას. სესხის ოდენობებია 110 მილიონი აშშ დოლარი და 10 მილიონი აშშ დოლარი და მათ ერიცხებათ ცვლადი საპროცენტო განაკვეთი 7,5% + 6 თვიანი Libor განაკვეთი და 11% + 6 თვიანი Libor განაკვეთი, შესაბამისად („Libor“ - ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზებული განაკვეთი). საპროცენტო განაკვეთები ექვემდებარება ცლილებებს გამოშვებიდან ყოველ 6 თვეში. უზრუნველყოფილი საბანკო სესხის, 110 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, დაფარვის გრაფიკი არის შემდგენილი: 12 თვიანი საშეღავათო პერიოდი (იხდის მხოლოდ პროცენტს), რომელსაც მოყვება ყოველთვიური პროცენტის და ძირის გადახდები.

ჯგუფმა სს თიბისი ბანკის სასარგებლოდ, როგორც სესხის აღების კომპონენტი, (დეტალებისთვის იხ. შენიშვნა 18) გამოუშვა „ქოლ“ ოპციონი 4,795,000 ჩვეულებრივ აქციად. ოპციონის სამართლიანი ღირებულება აღიარებულ იქნა, როგორც გარიგების ხარჯი სესხის შესაბამისი საბალანსო ღირებულების შემცირებით.

2018 წლის 30 მარტს ჯგუფმა გააკეთა, აშშ დოლარში არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების კერძო განთავსება 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. მოცემულ არაუზრუნველყოფილ ობლიგაციებს ერიცხებათ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 8.5%-ს ოდენობით, 2021 წელს დაფარვის ვადით და გამოშვების თარიღიდან მეორე წლის ბოლოს უკან გამოსყიდვის უფლებით. ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული შემოსავლები გამოყენებულ იქნა 110 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის უზრუნველყოფილი ბანკის სესხის ნაწილის დასაფარად.

2017 წლის აგვისტოში, ჯგუფმა საქართველოს საფონდო ბირჟაზე („GSE“) გამოსცა და განთავსა აშშ დოლარში არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები. შედეგად კომპანიამ გამოსცა 34 მილიონი ლარის არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები საპროცენტო განაკვეთით 3.5%-ს + რეფინანსირების განაკვეთი, დაფარვის ვადით 2022 წელს.

უზრუნველყოფილი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის სააქციო კაპიტალით, მარაგებით და ძირითადი საშუალებებით.

ყველა სესხი და კრედიტი ექვემდებარება შემზღუდავ პირობებს, ფინანსური დავალიანების ლიმიტის, არაფინანსური შეზღუდვების და კონკრეტული ფინანსური თანაფარდობის შენარჩუნების მოთხოვნების ჩათვლით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი აკმაყოფილებს სასესხო შეზღუდვებს.

სუბორდინირებული სესხი

				31 დეკემბერი 2018	
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სუბორდინირებული სესხი	აშშ დოლარი	9.5%	2026	48,901	30,546
დაქვემდებარებული სესხი				48,901	30,546

შემდენის გარიგება ნაწილობრივ დაფინანსებული იყო კომპანიის მშობელი კომპანიისგან „Rhinestream Holdings Limited“-სგან აღებული 17 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით აღებული სასესხო ხელშეკრულებით. სესხი სუბორდინირებულია ყველა სხვა სესხებთან, კრედიტებსა და თამასუქებთან. სესხი მშობელი კომპანიისგან აღებულია არა საბაზრო პირობებით, რის გამოც წარმოიშვა დამატებითი შენატანი კაპიტალში 16,445 ათასი ლარის ოდენობით. სესხის დაფარვის ვადა არის 2026 წლის 28 მარტი.

თამასუქები

თამასუქებზე დაწვრილებით ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ შენიშვნა 25 შვილობილები და საწარმოთა შერწყმა.

(ბ) ცვლილებები ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

'000 ლარი	გადასახდელი დივიდენდები	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	3,038	76,526	79,564
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	423,545	423,545
სესხების დაფარვა	-	(67,006)	(67,006)
გადახდილი პროცენტი	-	(33,633)	(33,633)
გადახდილი დივიდენდები	(36,417)	-	(36,417)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	(36,417)	322,906	286,489
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	-	29,142	29,142
სხვა ცვლილებები			
საპროცენტო ხარჯები	-	39,272	39,272
გარიგების ხარჯები*	-	247	247
არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის გადახდა	-	(201)	(201)
რეზიდენტებისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	-	(15)	(15)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	-	39,303	39,303
სულ კაპიტალთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები (იხილეთ შენიშვნა 18 და 19)	39,863	(24,471)	15,392
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	6,484	443,406	449,890

* გარიგების ხარჯი 247 ათასი ლარის ოდენობით უკავშირდება ჯგუფის მიერ არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვებასთან, განთავსებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს (იხილეთ შენიშვნა 19 (ა)).

20. IRU ხელშეკრულებებთან და აბონენტებთან დაკავშირებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და მიღებული ავანსები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	გრძელვადიანი	მიმდინარე	გრძელვადიანი	მიმდინარე
დავალიანება მომწოდებლის მიმართ	-	33,705	-	14,568
დავალიანება ლიცენზიებისა და სამაუწყებლო უფლებებისთვის	7,300	24,381	1,200	4,486
დავალიანება გრძელვადიანი აქტივებისთვის	10,865	12,174	-	3,720
დავალიანება სხვა ოპერატორების მიმართ	-	7,132	-	2,895
დღგ და სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	545	-	726
გადასახდელი დივიდენდი	-	6,484	-	3,038
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	-	1,832	-	1,397
სხვა ვალდებულებები	-	936	-	634
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,165	87,189	1,200	31,464
IRU ხელშეკრულებებიდან მიღებული ავანსები	13,234	1,925	35,994	4,694
აბონენტებისგან მიღებული ავანსები	1,249	20,567	1,609	4,407
სულ ავანსებიდან წარმოშობილი სახელშეკრულებო ვალდებულებები	14,483	22,492	37,603	9,101
სულ	32,648	109,681	38,803	40,565

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო და ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკების და მგრძნობელობის ანალიზის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

21. სამართლიანი ღირებულება და ფინანსური რისკის მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისგან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი თანხა აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვის ან ვალდებულებების გადაცემისას.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალი ძირითადი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები მიახლოებულია საბალანსო ღირებულებებთან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო, ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

(i) რისკების მართვის სისტემა

დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად ეკისრება პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე და ის პასუხს აგებს ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და მისი საქმიანობის შესახებ აქციონერებისთვის რეგულარული ანგარიშის წარდგენაზე.

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკები შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს ჯგუფის წინაშე არსებული რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და ჯგუფის საქმიანობაში. ჯგუფი ტრეინინგების, მენეჯერული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ცდილობს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული გარემო, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები.

აქციონერი ზედამხედველობას უწევს ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობას და ამოწმებს რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობას ჯგუფის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ჯგუფის საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიშობა გაცემული სესხებიდან, სავაჭრო მოთხოვნებიდან და ბანკში არსებული ნაშთებიდან.

აღიარებულ ფინანსურ აქტივებსა და არაღიარებულ ვალდებულებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა საანგარიშგებო დღისთვის იყო შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	30,421	16,054
სესხები დაკავშირებული მხარეების მიმართ	-	1,495
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	9,252	2,521
აღიარებული ფინანსური აქტივები	39,673	20,070
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები (შენიშვნა 22(გ))	-	35,000

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო ხარჯები

საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება მომხმარებელთა კრედიტუნარიანობის შეფასებით, ჯგუფის მიერ სტანდარტული გადახდისა და მომსახურების პირობების შეთავაზებამდე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად არ მოითხოვება გირაო.

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, მომხმარებლები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის გათვალისწინებით, მომხმარებელი ფიზიკური პირია თუ იურიდიული პირი, საბითუმო მომსახურებას ეწევა თუ საცალოს, არის თუ არა ის საბოლოო მომხმარებელი, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მრეწველობის სფერო და წარსულში არსებული ფინანსური სირთულეების ფაქტები.

ჯგუფი განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვებს, რომლებიც წარმოადგენენ მის მიერ მიღებულ სავარაუდო ზარალს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში. ამგვარი რეზერვების ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს კოლექტიური ზარალის კომპონენტი. ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად მომდინარეობს ადგილობრივი საცალო მომხმარებლისგან. ჯგუფს არ აქვს მომხმარებელთა მნიშვნელოვანი გაერთიანება.

გაუფასურების ზარალი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხანდაზმულობა ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის იყო შემდეგი:

2018			
'000 ლარი	მთლიანი	გაუფასურება	წმინდა
ვადგადაცილების და გაუფასურების გარეშე	13,155	-	13,155
ვადგადაცილებული 30 დღეზე ნაკლები ვადით	14,724	(178)	14,546
ვადგადაცილებული 30-90 დღით	1,880	(312)	1,568
ვადგადაცილებული 91-180 დღით	884	(562)	322
ვადგადაცილებული 181-360 დღით	1,973	(1,674)	299
ვადგადაცილებული 365 დღეზე მეტი დროით	13,701	(13,170)	531
სულ	46,317	(15,896)	30,421

2017			
'000 ლარი	მთლიანი	გაუფასურება	წმინდა
ვადაგადაცილების და გაუფასურების გარეშე	15,400	-	15,400
ვადაგადაცილებული 30 დღეზე ნაკლები ვადით	328	(97)	231
ვადაგადაცილებული 30-90 დღით	480	(214)	266
ვადაგადაცილებული 91-180 დღით	524	(394)	130
ვადაგადაცილებული 181-360 დღით	603	(576)	27
ვადაგადაცილებული 365 დღეზე მეტი დროით	13,089	(13,089)	-
სულ	30,424	(14,370)	16,054

მომდრობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხებზე წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2018	2017
1 იანვარს	(14,370)	(12,594)
ფასს 9-ს დანერგვასთან დაკავშირებული კორექტირება (იხ. შენიშვნა 5)	(768)	-
კორექტირებული ნაშთი 1 იანვარს	(15,138)	(12,594)
ხარჯი წლის განმავლობაში (შენიშვნა 11)	(2,638)	(1,776)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი უიმედო ვალების გაუქმება	1,881	-
31 დეკემბერს	(15,895)	(14,370)

100%-იანი გაუფასურების განაკვეთი გამოყენებულ იქნა 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე საცალო მომხმარებლებთან. უფრო დაბალი გაუფასურების განაკვეთები, გამოიყენება იმ კატეგორიებისთვის, რომლებიც ვადაგადაცილებულია უფრო მოკლე პერიოდით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის გამოიყენება სარეზერვო ანგარიში, ვიდრე ჯგუფი არ დარწმუნდება რომ ვერ მიიღებს მისდამი მართებული თანხებს; ამ დროს თანხა მიიჩნევა არა ანაზღაურებადად და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში.

ნაშთები საბანკო ანგარიშებზე

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები ძირითადად ქართულ ბანკებშია განთავსებული, რომლებსაც საკრედიტო რეიტინგის კვლევის სააგენტოს, „Fitch-ის“ მიერ მინიჭებული აქვთ BB- შეფასება. ჯგუფი არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვალდებულებების შესრულებას.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ჯგუფს ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ლიკვიდურობის მართვა ხორციელდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯგუფს ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან ჯგუფის რეპუტაციაზე ზიანის მიყენების გარეშე.

ამ მიზნით, ჯგუფი ადგენს ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ მოკლევადიან პროგნოზს საოპერაციო საქმიანობის ხასიათით განსაზღვრულ ფინანსურ საჭიროებებზე დაყრდნობით. როგორც წესი, ეს საჭიროებები განისაზღვრება ყოველწლიურად და ყოველთვიურად. ფინანსური საჭიროებების მართვის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებისგან ყოველდღიურად იღებს ფულად ნაკადებს. ეს უზრუნველყოფს ჯგუფს საკმარისი ფულადი სახსრებით მისი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად. ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე მუდმივად ჰქონდეს 30 დღის საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო ფულადი სახსრები. ეს გამორიცხავს პოტენციურ, ექსტრემალური ვითარებებით მიყენებულ დარტყმებს, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს სტიქიურ კატასტროფებს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებები IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების გარდა, და მიღებული ავანსები 124,354 ათასი ლარის ოდენობით იყო მიმდინარე აქტივების ზედმეტობაში, IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინსწრებების გარდა 54,933 ათასი ლარის ოდენობით. ამ თანხაში შედის დივიდენდის დავალიანება აქციონერის მიმართ 6,484 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ვადები საბოლოოდ და მხოლოდ აქციონერის მიერ კონტროლდება.

გადასახდელი დივიდენდის გარდა, ჯგუფის კორექტირებული მიმდინარე ვალდებულებები იქნებოდა კორექტირებული მიმდინარე აქტივების ზედმეტობაში 48,449 ათასი ლარის ოდენობით. მთავარი მიზეზი სამუშაო კაპიტალის მდგომარეობის გაუარესებისა იყო დიდი ოდენობის და სასწრაფო აუცილებლობის კაპიტალური ხარჯების გაწევა ჯგუფის ახლად შეძენილ მობილური კომუნიკაციების ბიზნეს სეგმენტში (ძირითადად დაკავშირებული ქსელის განახლებასთან 4G (LTE) ტექნოლოგიაზე), რის შედეგადაც სავაჭრო ვალდებულებები ლიცენზიებზე და გრძელვადიან აქტივებზე გაიზარდა 8,207 ათასი ლარიდან 2017 წელს, 36,554 ლარამდე 2018 წლის 31 დეკემბერს. ჯგუფმა მოამზადა დეტალური ფულადი ნაკადების პროგნოზი და ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მიახლოებითი სამომავლო საოპერაციო თავისუფალი ფულადი ნაკადები, ყველა შემოსავლების, ხარჯების და ყველა აურიდებელი მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის გათვალისწინებით, მაინც საკმარისად პოზიტიურია რომ გააუმჯობესოს ლიკვიდური მდგომარეობა და სამუშაო კაპიტალის აუცილებლობა და მისცეს კომპანიას საშუალება რომ დროულად დააკმაყოფილოს მისი ვალდებულებები დაფარვის ვადაში. დამატებით, ჯგუფის აქციონერმა გამოთქვა სურვილი, რომ საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ჯგუფის სამომავლო ფინანსური და სხვა მხარდაჭერა.

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო დღისთვის არსებული ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები. თანხები მოცემულია მთლიანად, დაქვითვის გარეშე (ბრუტო) და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადასახადებს და გამორიცხავენ ურთიერთჩათვლის ხელშეკრულებების გავლენას.

31 დეკემბერი 2018

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვემდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები და კრედიტები	412,860	583,862	-	13,103	63,959	391,102	115,697
დაქვემდებარებული სესხი	30,546	80,214	-	-	-	-	80,214
თამასუქები	37,286	42,826	-	-	-	42,826	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	105,354	109,538	43,611	10,930	33,556	21,441	-
სულ	586,046	816,440	43,611	24,033	97,515	455,369	195,911

31 დეკემბერი 2017

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვემდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები და კრედიტები	76,526	112,224	-	3,227	9,668	84,690	14,639
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32,664	32,664	26,980	1,644	2,840	1,200	-
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	35,000	35,000	35,000	-	-	-	-
	144,190	179,888	61,980	4,871	12,508	85,890	14,639

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია რისკის გონივრულ ფარგლებში შენარჩუნება ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირებას მოგება-ზარალში არასტაბილურობის სამართავად.

სავალუტო რისკი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე ძირითადად აშშ-დოლარში დენომინირებულ შესყიდვებს უკავშირდება.

ჯგუფი განიცდის სავალუტო რისკების გავლენას შემდეგნაირად:

'000 ლარი	აშშ დოლარში 31 დეკემბერი 2018	აშშ დოლარში 31 დეკემბერი 2018
ნაშთები ბანკში	126	249
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,965	978
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	-	1,495
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(50,956)	(11,985)
სესხები და კრედიტები	(315,145)	-
დაქვემდებარებული სესხი	(30,546)	-
წმინდა გავლენა	(389,556)	(9,263)

'000 ლარი	ევროში 31 დეკემბერი 2018	ევროში 31 დეკემბერი 2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,592	66
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(15,018)	(8,728)
წმინდა გავლენა	(13,426)	(8,662)

წლის განმავლობაში არსებული გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების თარიღში	
	2018	2017	2018	2017
აშშ დოლარი 1	2.5345	2.5086	2.6766	2.5922
ევრო 1	2.9913	2.8322	3.0701	3.1044

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის შესაძლო გამყარება/(შესუსტება), როგორც ქვემოთ არის მითითებული, აშშ დოლართან მიმართებაში 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გავლენას მოახდენდა აშშ დოლარში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება ან ზარალზე დაბეგვრამდე ქვემოთ ნაჩვენები თანხებით. ვალუტის მოძრაობას არ ექნება პირდაპირი გავლენა სხვა სრულ შემოსავალზე ან კაპიტალზე. ანალიზში გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია და უგულებელყოფს პროგნოზირებადი გაყიდვებისა და შესყიდვების გავლენას.

'000 ლარი	გამყარება		შესუსტება	
	მოგება ან კაპიტალი (ზარალი)		მოგება ან კაპიტალი (ზარალი)	
31 დეკემბერი 2018				
აშშ დოლარი (5%-იანი მოძრაობა)	-	19,478	-	(19,478)
ევრო (5%-იანი მოძრაობა)	-	671	-	(671)
31 დეკემბერი 2017				
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	-	926	-	(926)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	-	866	-	(866)

დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის რისკზე

ანგარიშგების თარიღისთვის ჯგუფის პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	120,612	42,101
	120,612	42,101
ცვლადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	322,794	34,425
	322,794	34,425

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებისთვის

ჯგუფი არ აღრიცხავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან როგორც გასაყიდად გამიზნულს. შესაბამისად, ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს კაპიტალსა ან მოგება-ზარალზე.

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადი განაკვეთის მატარებელი ინსტრუმენტებისთვის

100 საბაზისო პუნქტიანი შესაძლო ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, გავლენას იქონიებს მოგებაზე ან ზარალზე 3,228 ათასი ლარის ოდენობით. ეს ანალიზი განსაზღვრავს, რომ ყველა სხვა ცვალებადი მაჩვენებელი, კონკრეტულად, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები, ცვლილების გარეშე რჩება.

22. პირობითი ვალდებულებები

(ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია, და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს დამრღვევს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი. ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური

განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი დავების შედეგად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

(გ) საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები

2017 წელს ჯგუფმა მოახდინა მშობელი კომპანიის დავალიანების უზრუნველყოფა 35,000 ათასი ლარის ოდენობით.

თანხა წარმოადგენს მაქსიმალურ ზარალს, რომელიც შეიძლება აღიარებულ იქნას, თუ სახელშეკრულებო მხარეები ვერ მოახერხებენ სახელშეკრულებო ვალდებულების სრულად შესრულებას. ზემოთ განსაზღვრული სახელშეკრულებო ვალდებულებების დაფარვა არ არის აუცილებელი მოხდეს ჯგუფიდან ფულადი სახსრების გადინების გზით, ვალდებულებას შესაძლოა გაუვიდეს ვადა ან შეწყდეს ჯგუფის მხრიდან დაფინანსების საჭიროების გარეშე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელშეკრულების გრაფიკის დარღვევას ადგილი არ ჰქონია და ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ რომელიმე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა უმნიშვნელოა. შესაბამისად, გარიგებებისთვის არ არის აღიარებული ანარიცხი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშობელმა კომპანიამ სრულად დაფარა ჯგუფის გარანტირებული სესხი.

23. საოპერაციო იჯარები

ჯგუფს საოპერაციო იჯარით აქვს რამოდენიმე მიწის ნაკვეთი აღებული. იჯარები როგორც წესი საწყის ეტაპზე გრძელდება 2-დან 5 წლამდე, ვადის გასვლის შემდეგ განახლების უფლებით. საიჯარო ვადის განახლების შემდეგ როგორც წესი იჯარის თანხები იზრდება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდების ოდენობა არა გაუქმებადი იჯარების შემთხვევაში, იყო:

’000 ლარი	2018
1 წელზე ნაკლები	12,094
1-დან 5 წლამდე	20,525
5 წელზე მეტი	8,903
	41,522

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდების ოდენობა არა გაუქმებადი იჯარების შემთხვევაში, ფიქსირებული კავშირგამბმულობის შემთხვევაში, არ იყო არსებითი.

24. დაკავშირებული მხარეები

(ა) მშობელი საწარმო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი და საბოლოო მშობელი საწარმოა „Rhinestream Holdings Limited“. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი გიორგი რამიშვილი. კომპანიის მშობელი საწარმო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ გამოსცემენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ბ) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვან ხელმძღვანელობას წლის მანძილზე მიღებული აქვს შემდეგი ანაზღაურება:

'000 ლარი	2018	2017
ხელფასები	2,067	1,501
ბონუსები	4,134	2,165
	6,201	3,666

(გ) დაკავშირებული მხარეების სხვა ოპერაციები

'000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დავალიანების სალდო 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	
	2018	2017	2018	2017
გაცემული სესხები:				
სხვა დაკავშირებული მხარე	586	569	-	1,495
სხვა საოპერაციო ხარჯები:				
სხვა დაკავშირებული მხარე	2,189	-	-	-
დაქვემდებარებული სესხი:				
მშობელი კომპანია	44,486	-	(30,546)	-
საწვავი:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	1,191	467	(353)	(49)
შვილობილი ორგანიზაციებისგან საქონლის და მომსახურების შესყიდვა:				
მარკეტინგი	78	329	-	(3)
ქველმოქმედება	706	1,115	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	1,067	-	(95)	-

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიისგან მიიღო გარანტია საბაზრო პირობებით 13 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

2018 წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი 198 ათასი ლარის ოდენობით (2017 წელს 121 ათასი ლარი) აღიარებულ იქნა დაკავშირებული მხარის სესხებთან მიმართებაში მოგებასა და ზარალში.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ყველა დაუფარავი ნაშთები, დაქვემდებარებული სესხების გარდა (იხ. შენიშვნა 19)), უნდა იქნეს გასტუმრებული ნაღდი ანგარიშსწორებით ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის დაზღვეული.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები

2017 წელს ჯგუფმა მოახდინა დაკავშირებული მხარეების დავალიანების უზრუნველყოფა 35,000 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 35,000 ათასი ლარი). ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშობელმა კომპანიამ სრულად დაფარა ჯგუფის მიერ გარანტირებული სესხი (იხ. შენიშვნა 22(c)).

25. შვილობილი კომპანიები და საწარმოთა გაერთიანება

შვილობილი კომპანია	რეგისტრაციის ქვეყანა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
		საკუთრება/ ხმის უფლება	საკუთრება/ ხმის უფლება
შპს „ქარვა“	საქართველო	51%	51%
შპს „WiMax Georgia“	საქართველო	100%	100%
შპს „Novus“	საქართველო	100%	100%
„NG Georgia“	საქართველო	100%	100%

(ა) საწარმოთა მნიშვნელოვანი გაერთიანება

a. შპს „ჯეოსელი“

საწარმოთა გაერთიანებაზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია შენიშვნა 1(b) ში - საწარმო და მისი საკმევანობა. გადახდილი თანხების შემადგენელი ნაწილების სამართლიანი ღირებულება არის შემდეგი:

გადახდილი თანხის კომპონენტები:	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში	სამართლიანი ღირებულება აშშ დოლარში	სამართლიანი ღირებულება ლარში	თარიღი	დაფინანსება
წინასწარი დეპოზიტი	15,000	37,499	15,000	36,216	27.01.18	სესხი თიბისი ბანკიდან
ნაღდი ანგარიშსწორება	51,000	124,445	51,000	123,134	დასრულების თარიღი	სესხი თიბისისგან და „Rhinstream“-სგან
„Fintur“ სესხის ძირის დაფარვა	68,300	166,659	68,300	164,904	დასრულების თარიღი	სესხი თიბისი ბანკიდან
ორი წელი დასრულების თარიღიდან (“1 ტრანშა”)	13,000	31,387	10,601	25,595	დასრულების თარიღი + 2 წელი	სილქნეტის „Fintur“-ზე გაცემული თამასუქები
სამი წელი დასრულების თარიღიდან (“2 ტრანშა”)	3,000	7,243	2,209	5,334	დასრულების თარიღი + 3 წელი	სილქნეტის „Fintur“-ზე გაცემული თამასუქები
„Fintur“ სესხზე					დასრულების თარიღი	თიბისიდან აღებული სესხი
დარიცხული პროცენტის გადახდა	1,413	3,448	1,413	3,412	თარიღი	
სულ გადახდილი თანხა:	151,713	370,681	148,523	358,595		

„Fintur“-ზე გადასახდელ თამასუქებს (ტრანშე 1 და ტრანშე 2) ხელშეკრულების მიხედვით არ ერიცხებათ პროცენტი და აქვთ ნომინალური ღირებულება 16 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად ხელმძღვანელობამ დაადგინა საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 10.74%-ის ოდენობით, როგორც დისკონტირების განაკვეთი.

ზემოთ მოცემულ შესყიდვის ფასთან ერთად, ბიზნეს შესყიდვამ გამოიწვია ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებული ავანსის 23,362 ათასი ლარის ღირებულების ელიმინაცია, რამაც არ გამოიწვია მოგების ან ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

ტრანზაქციის დასრულების თარიღია 2018 წლის 20 მარტი.

(ბ) შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები

შემდეგი ცხრილი აჯამებს შეძენილი აქტივების აღიარებულ ოდენობებს და ნაკისრ ვალდებულებებს, შეძენის თარიღითვის:

'000 ლარი	შპს ჯეოსელი
აქტივები	
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>	
ძირითადი საშუალებები	184,176
არამატერიალური აქტივები	165,936
სხვა გრძელვადიანი აქტივები	19,942
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარ გადახდები	34,754
სულ გრძელვადიანი აქტივები	404,808
<i>მიმდინარე აქტივები</i>	
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარ გადახდები	5,586
მარაგები	2,895
გაცემული სესხი	1,500
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	16,617
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტი	6,315
სულ მიმდინარე აქტივები	32,913
სულ აქტივები	437,721
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24,045
აბონენტებისგან მიღებული ავანსები	13,236
სულ მიმდინარე ვალდებულებები	37,281
სულ ვალდებულებები	37,281
სულ წმინდა იდენტიფიცირებადი აქტივები	400,440

სამართლიანი ღირებულების აღრიცხვა

შემენილი მატერიალური აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასების შემდეგი მეთოდები იქნა გამოყენებული.

შემენილი აქტივები

ძირითადი

საშუალებები

შეფასების მეთოდი

ხარჯის მიდგომა - ხარჯის მიდგომის მიხედვით ბიზნესის ღირებულება ტოლია მისი კუთვნილი აქტივების წმინდა ჯამური საბაზრო ღირებულებისა. ამ მიდგომის მიხედვით გამოიყენება „წმინდა აქტივის მეთოდი“, რომელიც მოიცავს საწარმოს ბალანსის კორექტირებას მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების საბაზრო ღირებულებით ჩანაცვლებას.

ხარჯის მიდგომა გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების დასადგენად: მანქანა-დანადგარები, ავეჯი და დაუმთავრებელი მშენებლობები.

საბაზრო მიდგომა – საბაზრო მიდგომის მიხედვით კომპანიის ღირებულება

შეიძლება დადგინდეს:

- საჯაროდ გაყიდვად სამაგალითო კომპანიების სააქციო ფასის მიხედვით („კომპანიის მეთოდის სახელმძღვანელო“);
- შესადარისი კომპანიების წილების სატენდერო ფასების მიხედვით („გარიგების მეთოდი“).

საბაზრო მიდგომა გამოყენებულ იქნა მიწის, შენობების და სატრანსპორტო საშუალებების სამართლიანი ღირებულების დასადგენად.

შემოსავლის მიდგომა – შემოსავლის მიდგომა ადგენს ბიზნესის ფლობიდან წარმოშობილი მოსალოდნელი სარგებლის მიმდინარე ღირებულებას. შემოსავლის მიდგომის მიხედვით ინვესტორი არ გადაიხდის იმაზე მეტს ვიდრე ბიზნესის მიერ გენერირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. ბიზნესის მიმდინარე ღირებულება დგინდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ან მიმდინარე, ისტორიული, ან მოსალოდნელი წლიური შემოსავლის კაპიტალიზაციით.

შემოსავლის მიდგომა გამოყენებულ იქნა შესაბამისი მომგებიანობის დასადგენად საერთაშორისო შეფასების სტანდარტების მიხედვით, რაც აუცილებელია ფასს-ს მიხედვით სამართლიანი ღირებულების დასადგენად.

შემოსავლის მიდგომაში ძირითად მეთოდად დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი (DCF მეთოდი) იყო არჩეული.

აქტივების გაუფასურების დასადგენად ჩატარდა „სიძველის ტესტირება“

არამატერიალური

აქტივები

არამატერიალური აქტივების სამართლიანი ღირებულების აღრიცხვისთვის გამოყენებულ იქნა საბაზრო მიდგომა.

(გ) სავაჭრო მოგება შემენიდან

შემენების შედეგად სავაჭრო მოგება იქნა აღიარებული შემდეგნაირად:

'000 ლარი	თანხა
გადახდილი თანხის სამართლიანი ღირებულება	358,594
იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება	(400,439)
სავაჭრო მოგება	(41,845)

ჯეოსელის შემენისთვის გადარიცხული ოდენობის ჯამი იყო 41.8 მილიონი ლარით ნაკლები ვიდრე მისი წმინდა იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიანი ღირებულება შემენის თარიღისთვის. მაშასადამე სხვაობა კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, 2018 წლის 31

დეკემბრით დასრულებული წლისთვის, აღიარებულ იქნა როგორც სავაჭრო შესყიდვიდან მიღებული მოგება ან „უარყოფითი გუდვილი“.

არსებობს რამოდენიმე მიზეზი შესყიდვიდან მიღებული სავაჭრო მოგებისა. ერთ-ერთი იყო მნიშვნელოვანი და სასწრაფო აუცილებლობა მყიდველის მიერ არსებითი კაპიტალური დანახარჯების გაწევისა 4G (LTE) ტექნოლოგიის დასაწერად. გაზრდილი კონკურენციის პირობებში არსებული აბონენტების შესანარჩუნებლად ჯეოსელისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქსელის განახლებას 4G (LTE) ტექნოლოგიაზე.

„უარყოფითი გუდვილის“ სხვა მიზეზი აბონენტებისგან მობილურ მონაცემთა გაცვლის მოხმარების მზარდი ტენდენციაა. რაც უფრო დიდია მოთხოვნა მონაცემთა გაცვლაზე და ამ მონაცემების ხარისხის გაზრდაზე, მით უფრო მეტია საჭიროება იმისა, რომ მობილურ ოპერატორს გააჩნდეს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ფიქსირებული კავშირგაბმულობის ოპერატორისგან. ფიქსირებულ კავშირგაბმულობაზე წვდომის აუცილებლობამ გაზარდა ჯეოსელის შესყიდვის ფასიდან სავაჭრო მოგების წარმოშობა.

არის ასევე სხვა ფაქტორიც - ლარის გამყარება აშშ დოლართან მიმართებაში 2018 წლის პირველ ნახევარში (GEL 2.59: USD1 -დან GEL 2.41: USD 1-მდე), რამაც საბოლოო ჯამში შეამცირა ლარში გადახდილი თანხა, მაშინ როდესაც წმინდა ატივების ღირებულება უცვლელი დარჩა.

შემენის თარიღიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე ჯეოსელმა ჯგუფის შემოსავალსა და წმინდა მოგებაში დაბეგვრის შემდეგ, შეიტანა წვლილი დაახლოებით 175.7 მილიონი და 37.4 მილიონი ლარის ოდენობით, შესაბამისად. შესყიდვა 2018 წლის 1 იანვარს, რომ მომხდარიყო ხელმძღვანელობის ვარაუდით კონსოლიდირებული შემოსავალი და კონსოლიდირებული წმინდა მოგება დაბეგვრის შემდეგ, შესაბამისი პერიოდისთვის გაიზრდებოდა დაახლოებით 56.5 მილიონი და 14.5 მილიონი ლარის ოდენობით, შესაბამისად. ხელმძღვანელობის ვარაუდი დაფუძნებულია დაშვებაზე, რომ შესყიდვის თარიღისთვის წარმოშობილი სამართლიანი ღირებულების კორექტირებები იქნებოდა იგივე თუ შესყიდვა განხორციელდებოდა იმ წლის პირველ დღეს როდესაც ეს შესყიდვა განხორციელდა.

შპს ჯეოსელმა შეწყვიტა იურიდიული არსებობა და შეუერთდა ჯგუფს 2018 წლის 1 ნოემბერს.

b. გლობალ TV

2018 წლის 8 იანვარს (შემენის თარიღი) ჯგუფმა სს გლობალ TV ჯგუფისგან (ამ ჯგუფში შედის სამი ქართული კომპანია: სს გლობალ კონტაქტ კონსალტინგი, სს ევრაზია XXI და სს გლობალ TV) შეიძინა pay TV საოპერაციო სეგმენტი 5,348 ათას ლარად, დღგ-ს გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ შემენილი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები ერთობლივად წარმოადგენენ ბიზნესს, ჯგუფი ასახავს ამ გარიგებას როგორც ბიზნეს შეძენას, ფასს 3 -ის „ბიზნეს კომბინაციები“ მოთხოვნების მიხედვით.

(დ) შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები

შემდეგი ცხრილი აჯამებს შეძენილი აქტივების აღიარებულ ოდენობებს და ნაკისრ ვალდებულებებს, შეძენის თარიღითვის:

'000 ლარი	გლობალ TV
აქტივები	
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	200
არამატერიალური აქტივები და სახელშეკრულებო ხარჯები	1,845
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,045
<i>მიმდინარე აქტივები</i>	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	9
სულ მიმდინარე აქტივები	9
სულ აქტივები	2,054
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	347
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	347
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	448
სულ მიმდინარე ვალდებულებები	448
სულ ვალდებულებები	795
სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები	1,259

(ე) გუდვილი

შესყიდვის შედეგად გუდვილი აღიარებულ იქნა შემდეგნაირად:

'000 ლარი	თანხა
გადახდილი თანხის სამართლიანი ღირებულება	5,348*
იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება	(1,259)
გუდვილი	4,089

აღიარებული გუდვილი ძირითადად მიეკუთვნება, ქსელის და აბონენტების ჯგუფის pay TV მომსახურებასთან მოსალოდნელი ინტეგრაციის საფუძველზე მიღწეულ შერწყმებს. შესყიდვის თარიღიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე, გლობალ TV-მ შემოსავალში შეიტანა დაახლოებით 4.1 მილიონი ლარის ოდენობის წვლილი, ხოლო ჯგუფის წმინდა მოგებაში - დაახლოებით 3 მილიონი ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ შესყიდვა მოხდა 2018 წლის იანვრის დასაწყისში, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ შესყიდვა 2018 წლის 1 იანვარს რომ მომხდარიყო გლობალ TV არ შეიტანდა არსებით დამატებით წვლილს ჯგუფის შემოსავალში ან წმინდა მოგებაში.

*ჯამური გადახდილი თანხიდან 3,981 ლარი გადახდილ იქნა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

26. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა შვილობილი კომპანიების იმ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივებისა, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით შეძენის დღეს.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული (გარდა მე-5 შენიშვნაში ნახსენებისა) წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში და ასევე თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ჯგუფის საწარმოების მიერ.

(ა) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით შეძენის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კონტროლი გადაეცემა ჯგუფს.

ჯგუფი გუდვილს აღრიცხავს შეძენის თარიღისთვის როგორც:

- გადაცემული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არაკონტროლირებადი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული საწარმო წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვის მოგება აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში. ოპერაციის დანახარჯები, გარდა სესხის ან ფასიანი ქაღალდების გამოცემის, რომელიც დაკავშირებულია „ჯგუფის“ მიერ საწარმოს გაერთიანებასთან, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

ნებისმიერი პირობითი კომპენსაციის აღიარება მოგება-ზარალში ხდება შეძენის თარიღით. თუ პირობითი კომპენსაცია კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი, მისი ხელახლა შეფასება არ ხდება და გადახდა აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვაგვარად, შემდგომი ცვლილებები პირობითი კომპენსაციის სამართლიან ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში.

(ii) არაკონტროლირებადი წილი

არაკონტროლირებადი წილები ფასდება შემძენის იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებში მათი პროპორციული წილით შესყიდვის დღეს. შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება კაპიტალში.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ჯგუფის მიერ კონტროლირებად სტრუქტურულ ერთეულებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის განხორციელების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის მიერ მიღებულ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკასთან. შვილობილ კომპანიაში არაკონტროლირებადი წილის ზარალი მიკუთვნებულია არაკონტროლირებად წილზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არაკონტროლირებადი წილის უარყოფით ბალანსს.

(iv) კონსოლიდაციიდან ამოღებული ოპერაციები

კონსოლიდაციიდან ამოიღება ჯგუფის შიდა ნაშთები და ტრანზაქციები და ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი.

(ბ) შემოსავლები

შემოსავალი აღიარდება როდესაც ჯგუფი კლიენტზე დაპირებული მომსახურების მიწოდებით აკმაყოფილებს თავის ნაკისრ ვალდებულებებს. როდესაც ნაკისრი ვალდებულება დაკმაყოფილებულია, ჯგუფი აღიარებს შემოსავლად გარიგების ღირებულების თანხას, რომელიც გამორიცხავს მესამე მხარეების სახელზე შემოსულ თანხებს და ცვალებადი ხასიათის მქონე თანხების შეზღუდულ შეფასებებს, რომელიც განაწილებულია შესაბამის ნაკისრ ვალდებულებაზე.

ჯგუფის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს: მობილური ზარის განხორციელების მომსახურება, ინტერნეტი და ინტერნეტ ტელევიზიის (IPTV) მომსახურებები, მობილური მონაცემთა მომსახურება, ფიქსირებული და უკაბელო ტელეფონის მომსახურებები, რომელიც ძირითადად მოიცავს ურთიერთკავშირს, წუთობრივ დარიცხვას და ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადებს, ურთიერთჩართვის მომსახურებები და ხაზების იჯარა, როუმინგიდან მიღებული შემოსავალი, ტელეფონის და მისი აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და სხვა. შემოსავლის აღიარება ხდება ფასდაკლებების, დამატებითი ღირებულებისა და აქციზის გადასახადის კორექტირებების შემდეგ.

მობილური ზარის განხორციელების მომსახურება: შემოსავალი აღიარდება აბონენტების მიერ მობილურ სატელეფონო ზარებზე ფაქტობრივად გამოყენებული წუთების მიხედვით. წინასწარგადახდით აბონენტებისგან განსხვავებით, გამოუყენებელი წუთები არ არის აღიარებული შემოსავალში სანამ შესაბამისი მომსახურება არ იქნება გაწეული აბონენტზე, ან წინასწარგადახდილ აბონიშენტს ვადა არ გაუვა.

ინტერნეტის და ინტერნეტ-ტელევიზიის მომსახურებები: შემოსავლები ინტერნეტის და ინტერნეტ-ტელევიზიის გაწევის მომსახურებიდან ძირითადად მოიცავს ინტერნეტ კავშირისა და IPTV მომსახურებებით სარგებლობის ყოველთვიურ გადასახადს და მისი აღიარება ხდება მომსახურების გაწევის მომენტში.

მობილურ მონაცემთა მომსახურება: შემოსავალი თითოეული მონაცემთა მომსახურების აბონენტისგან. ეს შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევისთანავე.

ფიქსირებული და უკაბელო სატელეფონო მომსახურებები: წუთობრივი მომსახურების და დაკავშირების ღირებულება შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის დროს, გამოყენებული წუთებისა და

ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფასურების საფუძველზე. ყოველი თვის ბოლოს აბონენტთათვის დაურიცხავი მაგრამ უკვე გაწეული მომსახურება აღიარდება შემოსავლად, ხოლო დარიცხული მაგრამ გაუწეველი მომსახურების შემოსავალი დროში გადავადდება. ყოველთვიური სააბონენტო საფასური შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის თვეში.

ურთიერთჩართვის მომსახურებები: ქსელთან დაშვებით მიღებული ურთიერთჩართვის შემოსავლები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა ოპერატორების მიერ ჯგუფის ქსელში დასრულებული ტრაფიკიდან მიიღება და რეგულირდება ხელშეკრულებებიდან, რომლებიც ასევე არეგულირებს ჯგუფის მიერ სხვა ოპერატორების ქსელით სარგებლობას. ურთიერთჩართვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მომსახურების გაწევის დროს.

ინფრასტრუქტურის იჯარა IRU ხელშეკრულებებიდან: ინფრასტრუქტურის იჯარიდან შემოსავლები მოიცავს ჯგუფის საკაბელო ქსელის გამოყენებით დარიცხულ ყოველთვიურ ფიქსირებულ საფასურს. ამგვარი შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას. იხ შენიშვნა 27(1).

როუმინგიდან მიღებული შემოსავალი: წუთობრივი გადასახადი ერიცხება სხვა უსადენო ოპერატორებს, არა-სილქნეტის აბონენტებისთვის რომლებიც ხმარობენ სილქნეტის ქსელს. კომპანია აღიარებს ესეთ შემოსავლებს მომსახურების გაწევისთანავე.

ტელეფონის და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი: შემოსავალი აღიარდება როდესაც ტექნიკა გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს.

სხვა შემოსავლები: შემოსავლის აღიარების პოლიტიკა სხვა შემოსავლებისთვის (SMS, MMS და სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები) არის, რომ აღიარო შემოსავალი მომსახურების გაწევისთანავე.

მნიშვნელოვანი გადახდის პირობები: ყველა მომსახურების გაწევის შემდგომ გადახდებისთვის აბონენტები ყოველთვიურად იხდიან თანხებს.

(გ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალს;
- საპროცენტო ხარჯს;
- უცხოური ვალუტით გამოწვეულ საკურსო შემოსავალს ან ზარალს ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება მისი მოგებაში ან ზარალში დარიცხვისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის ხარჯი, რომლის პირდაპირი მიკუთვნება შეუძლებელია განსაკუთრებული აქტივის შეძენის, აგების ან წარმოების დანახარჯისათვის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტით გამოწვეული საკურსო შემოსავლის და ზარალის აღრიცხვა ხდება ნეტო ეფექტით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის მიხედვით, არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსავალი ან წმინდა ხარჯი.

(დ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის ობიექტების შესაბამის მოქმედ ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, ჯგუფში მოქმედ ფულად ერთეულში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით იზომებიან, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც იზომება ისტორიული ფასის საფუძველზე, კონვერტირდება ოპერაციის მოხდენის თარიღისთვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ე) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან რომელიც აღიარდება სხვა ერთობლივ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

(ი) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისა. დივიდენდების განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულების თანხა იანგარიშება როგორც წმინდა განაწილებული თანხის 15/85.

თუ 2008-2016 წლების გაუნაწილებელი მოგება განაწილდება 2017 ან შემდგომ წლებში, მიმდინარე გადასახადზე ვრცელდება საგადასახადო ჩათვლა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსაზღვრულია პირის ეკონომიკურ საქმიანობებთან, უფასო მიწოდებებსა და დაშვებულ ზღვრებში წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებულ კონკრეტულ ოპერაციებზე მოგების გადასახადის დარიცხვა. ჯგუფი ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) მიღმა განიხილავს და მათ აღრიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

(გ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(ზ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. მიწა ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯის ღირებულებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის პროცენტის კაპიტალიზაციას, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გაშენილი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითად საშუალებაზე.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასიცოცხლო ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც აღნიშნული აქტივის ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ბალანსზე, თუ იგი უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-პატრონობის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებასა ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობამდე მიყვანის მომენტიდან, ხოლო კომპანიის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივი, მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სალიკვიდაციო ღირებულება

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივებისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო პერიოდსა და სასიცოცხლო ვადას შორის უმოკლესი პერიოდით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა, მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 25-50 წელი;
- მანქანა-დანადგარები 3-20 წელი;
- ავტომობილები, ავეჯი და სხვა მოწყობილობები 3-5 წელი.

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედა სხვადასხვა ფინანსურ წელს და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(თ) არამატერიალური აქტივები

(i) გუდვილი

შვილობილი კომპანიების შეძენიდან წარმოქმნილი გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების თანხით.

(ii) სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებიც სასარგებლო მომსახურების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. სხვა არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს სატელეკომუნიკაციო საოპერაციო ლიცენზიებს, კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიებს და კაპიტალიზებად სამაუწყებლო უფლებებს.

(iii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის ჯგუფის შიგნით წარმოქმნილი გუდვილი და ბრუნდები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი წარმოშობისთანავე.

(iv) ამორტიზაცია

ამორტიზაცია ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სალიკვიდაციო ღირებულება. არამატერიალურ აქტივებს, გუდვილის გარდა, ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივებისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა არამატერიალური აქტივებისთვის მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის მერყეობს 3-დან 10 წლამდე.

ამორტიზაციის მეთოდი, სასარგებლო მომსახურების ვადა და ნარჩენი ღირებულება გადახედვას ექვემდებარება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და კორექტირდება საჭიროებისამებრ.

(ა) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია აკლასიფიცირებს არაწარმოებულ ფინანსური ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

ფასს 9 აწესებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და ზოგიერთი არა-ფინანსური ერთეულის ყიდვა-გაყიდვის, აღიარების და აღრიცხვის მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39 -ს ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება.

(i) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა

ფასს 9 დიდწილად ინარჩუნებს ბასს 39 ში არსებულ ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და აღრიცხვის მოთხოვნებს. თუმცა, ის აბათილებს ბასს 39-ს ვადამდე ფლობილი ფინანსურ აქტივების კატეგორიებს, სესხებსა და მოთხოვნების და გასაყიდად არსებულს.

ფასს 9-ს მიხედვით თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი აღიარდება ისევე როგორც აღრიცხება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით-ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს 9-ს მიხედვით ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ზოგადად დაფუძნებულია ბიზნეს მოდელზე რომლის მიხედვითაც ფინანსური აქტივი აღრიცხება და მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებით.

ფინანსური აქტივი აღრიცხება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ორივეს და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- ის მოიაზრება იმ ბიზნეს მოდელის მიხედვით რომლის მიზანია აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოგროვების მიზნით; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები წარმოშობენ, კონკრეტულ თარიღებში, მხოლოდ ძირი თანხისა და გადასახდელ ძირ თანხაზე ინტერესის გადახდიდან მიღებულ ფულად ნაკადებს.

შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება მოცემული ფინანსური აქტივების აღრიცხვისთვის:

ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით	ეს აქტივები საბოლოოდ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით (იხ (ii) ქვემოთ). საპროცენტო შემოსავალი, უცხოური ვალუტის გაცვლიდან მიღებული მოგება და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ჩამოწერასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
ვალის ინვესტიციები სხვა სრულ შემოსავალში ასახული სამართლიანი ღირებულებით	ეს აქტივები საბოლოოდ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. საპროცენტო შემოსავალი ითვლება ეფექტური პროცენტის მეთოდით, უცხოური ვალუტის გაცვლიდან მიღებული მოგება და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა წმინდა მოგება და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. ჩამოწერისას, სხვა სრულ შემოსავალში დაგროვილი მოგება და ზარალი რეკლასიფიცირებულია მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვარს, ფასს 9-ის გამოყენების ზეგავლენა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაზე დაკავშირებულია მხოლოდ ახალ გაუფასურების მოთხოვნებთან, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

(ii) *ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ის „მიყენებული ზარალი“-ს მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“-ს მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი გამოიყენება ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ აქტივებზე, სახელშეკრულებო აქტივებზე. ფასს 9-ს მიხედვით, საკრედიტო ზარალი იმაზე ადრე აღიარდება ვიდრე ეს ბასს 39-ს გამოყენებისას ხდებოდა.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით შედგება სავაჭრო მოთხოვნებისაგან, ფულადი ნაკადებისა და მისი ეკვივალენტებისაგან.

ფასს 9-ს მიხედვით, ზარალის რეზერვი აღირიცხება შემდეგიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის ვადაში; და
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი არსებობის ვადით: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების პერიოდის მანძილზე.

კომპანიამ გადაწყვიტა აღერიცხა ზარალის რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი არსებობის ვადით“-ის ტოლი ოდენობით.

გაიზარდა თუარა არსებითად ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი პირველადი აღიარების შემდგომ და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას კომპანია განიხილავს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც არის შესაბამისი და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯის და ძალისხმევის გაწევის გარეშე.

ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ასევე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის ისტორიულ გამოცდილებაზე და წინდახედულ საკრედიტო შეფასებაზე დაყრდნობით.

კომპანია მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არსებითად გაზრდილია თუ მისი ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტია.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტში როდესაც:

- არ არის ალბათობა, რომ კლიენტი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ თანხის ამოღებაზე მიმართული ღონისძიებების გამოყენების გარეშე (უზრუნველყოფის გაყიდვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 და 180 დღეზე მეტით ვადაგადაცილებულია მოთხოვნის ტიპის მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური ვადა არის მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდი რომლის განმავლობაშიც კომპანია დაქვემდებარებულია საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვა

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული საკრედიტო ზარალების ვარაუდი. საკრედიტო ზარალი აღიარდება როგორც ყველა ნაღდი თანხის დანაკლისის მიმდინარე ღირებულება (ანუ სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით მისაღებ ფულად ნაკადებსა და ფულად ნაკადებს შორის რომლის მიღებასაც საწარმო მოელის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების წარდგენა

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვი გამოაკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას.

(iii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და შეწყვეტა

ჯგუფი მოთხოვნებს და სესხებს აღიარებს მათი წარმოქმნისთანავე. ყველა სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივის აღიარება ხდება გარიგების თარიღით, როდესაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივს აღიარებას, როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს, ყველანაირ რისკთან და მფლობელობის უფლებასთან ერთად. ნებისმიერი სარგებელი წარმოქმნილი გადაცემული ფინანსური აქტივიდან, ჯგუფის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გადაფარვა და წმინდა ღირებულებით წარდგენა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია აღნიშნული გადაფარვის სამართლებრივი საფუძველი და განზრახული აქვს მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

(iv) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოფციონის გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დამატებითი ხარჯები აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გამოკლებით.

(კ) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ანგარიშგების მომზადების ყოველი თარიღისათვის ხდება ფინანსური აქტივების ღირებულების გადახედვა იმის მიხედვით, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ თავდაპირველი აღიარების შემდგომ, რაიმე მოვლენამ უარყოფითი გავლენა იქონია აქტივისგან მისაღებ მომავალ ფულად ნაკადებზე და მისი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

- მევალის მხრიდან ვადაგადაცემა ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- ჯგუფის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისა ისეთი პირობით, რომელიც სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა ჯგუფისთვის მისაღები;
- ნიშნები, რომ მოვალე გაკოტრდება;
- ეკონომიკური პირობები, რომელიც გადაუხდელობას იწვევს.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ჯგუფი ამ აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს, როგორც ცალკეულ ასევე კოლექტიურ, აგრეგირებულ დონეზე. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა აქტივი ინდივიდუალურად მოწმდება გაუფასურებაზე. ისეთი აქტივები, რომლებიც დამოუკიდებლად არ ამჟღავნებენ გაუფასურების ნიშნებს, მოწმდებიან ჯგუფურად დამდგარი მაგრამ ჯერ არა იდენტიფიცირებული შესაძლო გაუფასურების დასადგენად. ის აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან აქტივებს, ფასდებიან კოლექტიურად, საერთო სარისკო მახასიათებლების მქონე აქტივების დაჯგუფების გზით.

კოლექტიური გაუფასურების შეფასების დროს, ჯგუფი იყენებს წინა წლების გამოცდილებას საექვო ვალებთან, მათი ამოღების დროსთან და დანაკარგებთან დაკავშირებით. ეს ალბათობები კორექტირდება ხელმძღვანელობის მოსაზრებებით, კერძოდ იმის მიხედვით თუ როგორია მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო მდგომარეობა ისეთი, რომ რეალური წაგება შესაძლოა მეტი ან ნაკლები იყოს ისტორიული მონაცემების მიხედვით შეფასებულ რაოდენობაზე.

გაუფასურების ზარალი გაანგარიშდება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. როდესაც ჯგუფი მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის ამოღების რეალური პერსპექტივა, შესაბამისი თანხები ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივებზე პროცენტის დარიცხვა მიმდინარეობს დისკონტირებული თანხის მიმდინარე ნაწილის აღიარებით. თუ ჩამოფასების შემდგომი მოვლენები ზრდის აქტივის ამოღებადობის ალბათობას, გაუფასურების ზარალი მცირდება და სხვაობა მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე საპირისპირო ნიშნით აღიარდება.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) განიხილება ყოველი ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. გუდვილის ანაზღაურებადი თანხა ფასდება ყოველ წელს ერთსა და იმავე დროს.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების იმ უმცირეს ჯგუფებად, რომლებთაც შესაძლებლობა აქვთ დამოუკიდებლად უზრუნველყონ ჯგუფში ფულადი ნაკადების შემოდიდება (CGU). ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ახდენენ დამოუკიდებლად ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება რამდენიმე ფულადი ნაკადის წარმომქმნელი კორპორატიული აქტივების მიკუთვნება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ერთეულებზე მოხდა გონივრული და თანმიმდევრული მეთოდის გამოყენების საფუძველზე, რომელმაც, როგორც შესაბამისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ნაწილმა გაიარა ტესტირება გაუფასურებაზე. საწარმოთა გაერთიანების შედეგად შექმნილი გუდვილი ნაწილდება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ იმ ჯგუფებზე, რომელთაგანაც ერთობლივი საწარმო ელოდება სარგებელის მიღებას.

ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება გადასახადების გადახდამდე დისკონტის იმ განაკვეთით, რომელიც თავის თავში ასახავს ფულის დროში ღირებულებას და ჯგუფისთვის მახასიათებელ რისკს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად თანხას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება-ზარალის უწყისში. გაუფასურების ზარალი პირველ რიგში უნდა გადანაწილდეს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე მიკუთვნებულ გუდვილზე და შემდგომ, მოცემული ერთეულის სხვა აქტივებზე მოცემულ ერთეულში შემავალი თითოეული აქტივის საბალანსო ღირებულების პროპორციულად.

გუდვილთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი არ კომპენსირდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. გაუფასურების ზარალის კომპენსირება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღდგენითი ღირებულების გაანგარიშებაში ცვლილებას ქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კომპენსირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს გაუფასურებამდე, ცვეთის და ამორტიზაციის გარეშე, არსებულ საბალანსო ღირებულებას.

(ლ) კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები, რომლის მხარეც გახდა ჯგუფი სხვა პირების დავალიანების გარანტირების მიზნით, წარმოადგენენ სადაზღვევო გარიგებებს. ამასთან დაკავშირებით, ჯგუფი საგარანტიო ხელშეკრულებას აღრიცხავს, როგორც პირობით ვალდებულებას იმ დრომდე, სანამ ჯგუფისგან საგარანტიო თანხების გადინება სავარაუდო გახდება.

(მ) იჯარები

(i) როგორ განსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

გარიგების დაწყებისას, ჯგუფი განსაზღვრავს შეთანხმება წარმოადგენს თუ არა იჯარას, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ეს განისაზღვრება იმის მიხედვით, გარიგების შესრულება დამოკიდებულია თუ არა კონკრეტული აქტივის გამოყენებაზე და გარიგება გადასცემს თუ არა აქტივის გამოყენების უფლებას სხვა მხარეს.

გარიგებები „ხელშეუვალ სარგებლობის უფლებაზე“ (IRU) არ კლასიფიცირდება იჯარად. 20-წლიანი მოქმედების ვადის მქონე ხელშეკრულებებში, სადაც ქსელის ტექნიკური მომსახურების ვალდებულება და აქტივის უკუგებასთან დაკავშირებული რისკი რჩება ჯგუფზე, ჯგუფი გადაავადებს მიღებულ საავანსო თანხას და წრფივად აღიარებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

(ii) იჯარით მიღებული აქტივები

აქტივები, რომლებსაც ჯგუფი ფლობს იჯარის საფუძველზე და რომელიც ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა. სხვა ყველა იჯარა საოპერაციო იჯარაა და შესაბამისად, იჯარის საფუძველზე განხორციელებული გადახდები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

(ნ) სეგმენტის ანგარიშგება

საოპერაციო სეგმენტი არის ჯგუფის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც უკავია ბიზნესის ისეთი ნაწილი, სადაც ეწევა ხარჯებს და შესაძლებელია ამონაგების მიღება (იმ ამონაგებისა და ხარჯების ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფის სხვა კომპონენტებთან); რომლის საოპერაციო შედეგებს რეგულარულად იხილავს საწარმოში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, ამ სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და მისი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად.

28. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ორი ახალი სტანდარტი შედის ძალაში ყოველწლიური სააღრიცხვო პერიოდებისთვის დაწყებული 2019 წლის 1 იანვრიდან (უფრო ადრეული დანერგვაც ნებადართულია); თუმცა, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფს არ გამოუყენებია ნაადრევად ახალი ან კორექტირებული სტანდარტები.

მოსალოდნელია, რომ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტებიდან, თავდაპირველი გამოყენებისას ფასს 16-ს ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

(ა) ფასს 16 იჯარები

ჯგუფი ვალდებულია მიიღოს ფასს 16 იჯარები 2019 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა შეაფასა ფასს 16 -ის თავდაპირველი გამოყენების სავარაუდო ზეგავლენა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე, როგორც აღწერილია ქვემოთ. სტანდარტის გამოყენების ფაქტობრივი ზეგავლენა 2019 წლის 1 იანვარს შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან რადგან ახალი სააღრიცხვო პოლიტიკები ექვემდებარება ცვლილებებს, მანამ სანამ ჯგუფი არ წარადგენს თავის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას რომელიც მოიცავს პირველადი გამოყენების თარიღს.

ფასს 16 განსაზღვრავს ბალანსზე აღრიცხულ სააღრიცხვო მოდელს იჯარებისთვის. მოიჯარე აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი აქტივის გამოყენების და მის საიჯარო გადახდის ვალდებულებას. თუმცა არსებობს აღიარებისგან გათავისუფლება მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე ერთეულების იჯარებისთვის. მეიჯარის სააღრიცხვო პოლიტიკა რჩება უცვლელი - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარის კლასიფიცირებას ფინანსური ან საოპერაციო იჯარების სახით.

ფასს 16 ჩაანაცვლებს ბასს 17-ში (იჯარები), ფასს 4-ში (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15-ში (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27-ში (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას) არსებულ იჯარასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო მითითებებს.

(i) იჯარები სადაც ჯგუფი არის მოიჯარე

ჯგუფი აღიარებს ახალ აქტივებს და ვალდებულებებს მისი საბაზო სადგურების საოპერაციო იჯარებზე, ფიქსირებულ კავშირგაბმულობაზე და სხვაზე. ამ იჯარებთან დაკავშირებული ხარჯების ბუნება შეიცვლება რადგან ჯგუფი აღიარებს ცვეთის დარიცხვას გამოყენების-უფლებით აქტივებზე და საპროცენტო ხარჯს საიჯარო ვალდებულებებზე.

წინააღმდეგაობა, ჯგუფი საოპერაციო იჯარის ხარჯს აღიარებდა წრფივი მეთოდის მიხედვით, იჯარის პერიოდის განმავლობაში, და აღიარებდა აქტივებს და ვალდებულებებს მხოლოდ იმ დონეზე, რომ იყო დროში სხვაობა ფაქტობრივ საიჯარო გადახდებსა და აღიარებულ ხარჯს შორის. ნაცვლად, 2019 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი აღიარებს საიჯარო ხელშეკრულებების მიხედვით გადასახდელ თანხებს მის მთლიან საიჯარო ვალდებულებებში.

ამჟამად არსებული ინფორმაციის მიხედვით, ჯგუფი ვარაუდობს, რომ 2019 წლის 1 იანვარს იგი აღიარებს დამატებით საიჯარო ვალდებულებებს უხეშად 25 მილიონი ლარის ოდენობით.

(ii) იჯარები სადაც ჯგუფი არის მეიჯარე

ჯგუფს არა არსებითი რაოდენობით აქვს ხელშეკრულებები სადაც ჯგუფი არის მეიჯარე. ასე რომ არანაირი არსებითი ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი იჯარებიდან სადაც ჯგუფი არის მეიჯარე.

(iii) გადასვლა

ჯგუფი გეგმავს ფასს 16-ის პირველად გამოყენებას 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. მაშასადამე, ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციური ეფექტი აისახება როგორც გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაძარის ინფორმაციის წარმოდგენის გარეშე.

გადასვლისას ჯგუფი გეგმავს იჯარის განმარტებაზე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას. ეს ნიშნავს რომ ჯგუფი გამოიყენებს ფასს 16-ს ყველა ხელშეკრულებებზე რომლებიც გაფორმებული იყო 2019 წლის 1 იანვრამდე და კლასიფიცირებული იყო როგორც იჯარები ბასს 17-ს და ფასს 4 -ს მიხედვით.

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, არ ჰქონდა ადგილი მოვლენებს, რომლებსაც არსებითი გავლენა ექნებოდათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა, მე-5 სართული
თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, 0105
საქართველო
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

სს „სილქნეტი“
წინამძღვრიშვილის ქ. 95
თბილისი, საქართველო
23 ოქტომბერი 2019

ჩვენი გე/1/064/19
საცნობარო
ნომერი:

მმართველობითი ანგარიშების უწყისი

ძვირფასო ბატონო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2019 წლის 23 ოქტომბერს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2019 წლის 23 ოქტომბერს გამოცემულია კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში 2019 წლის 1 მარტის, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2019 წლის 1 მარტის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცით რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

კარენ საფარიანი
აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი
შპს „KPMG Georgia“



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა, მე-5 სართული
თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, 0105
საქართველო
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

სს „სილქნეტი“
წინამძღვრიშვილის ქ. 95
თბილისი, საქართველო
23 ოქტომბერი 2019

ჩვენი ge/1/064/19
საცნობარო
ნომერი:

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2019 წლის 23 ოქტომბერს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2019 წლის 23 ოქტომბერს გამოცემულია კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში 2019 წლის 1 მარტის, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2019 წლის 1 მარტის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცით რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

კარენ საფარიანი

აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი

შპს „KPMG Georgia“

სს „სილქნეტი“
2018 წლის
მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა	3
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება.....	6
3. არაფინანსური ანგარიშგება.....	9

1. საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

სს „სილქნეტი“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2009 წლის 2 აპრილს საიდენტიფიკაციო ნომრით: 204566978, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი 0112, წინამძღვრიშვილის ქუჩა N95.

2010 წლის დეკემბრიდან სილქნეტის აქციათა 100% მესაკუთრეს წარმოადგენს მალტაში რეგისტრირებული კომპანია Rhinestream Holdings Limited. კომპანიის საბოლოო ბენეფიციარ მესაკუთრეს წარმოადგენს ფიზიკური პირი გიორგი რამიშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში კორპორატიული და ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო სატელეფონო მომსახურებებს, ინტერნეტის და ინტერნეტ-ტელევიზიის (IPTV) მომსახურებებს და მიწისქვეშა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის იჯარას. კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას შვილობილი კომპანია შპს „ქარვას“ შესახებ. 2006 წლიდან კომპანია ქარვა ქმნის ტექნოლოგიებს IPTV, Over the top (OTT) და ჰიბრიდულ სატელევიზიო ინდუსტრიაში.

2018 წლის 20 მარტს ჯგუფმა შეიძინა საქართველოს სიდიდით მეორე მობილური ოპერატორის (შპს „ჯეოსელი“) 100 %-იანი წილი, 151.7 მილიონი დოლარად, რაც უხეშად შეესაბამება EV/EBITDA კოეფიციენტს 4.5-ს. ჯეოსელს აქვს 1.7 მილიონზე მეტი ხმოვანი მობილური მომსახურების და თითქმის 1 მილიონი მობილური ინტერნეტის აბონენტების ბაზა, რაც წარმოადგენს ადგილობრივი ბაზრის დაახლოებით 35%-ს და მოაქვს შემოსავალი მისი ძირითადი მომსახურებებიდან, რომლებიცაა ხმოვანი მობილური მომსახურება, მობილური ინტერნეტი, ურთიერთჩართვა, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, მობილური მოწყობილობების გაყიდვა და სხვა. გადახდილი თანხა მოიცავდა ჯეოსელის მიერ Fintur Holdings B.V.(„Fintur“-ის (ჯეოსელის მშობელი კომპანია) სესხის დაფარვას. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯეოსელი განაგრძობს თავის საქმიანობას სილქნეტის ბრენდის ქვეშ.

2018 წლის 20 მარტს (იხ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შენიშვნა 25), ჯეოსელის შეძენის შემდგომ ჯგუფმა წარმართა თავისი საქმიანობა ორ საოპერაციო სეგმენტად, ფიქსირებული კავშირგაბმულობა (სს სილქნეტი) და მობილური კომუნიკაციები (შპს ჯეოსელი). ინფორმაცია ჯგუფის საოპერაციო სეგმენტებზე მოყვანილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 6-ში „საოპერაციო სეგმენტები“.

ტექნოლოგიური უპირატესობის შენარჩუნების მიზნით კომპანიამ 2017 წელს დაიწყო ინფორმაციული სისტემების ტრანსფორმაციის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესებული და სტანდარტიზებული პროცესების დანერგვას, განსაკუთრებით, ბიზნესის მხარდამჭერი სერვისების („BSS“) მოდულების და დაახლოებით 100 ბიზნეს პროცესის დიზაინის განახლების მიმართულებით. პროგრამის დანერგვა დაიწყო 2018 წლის ივლისში, ახალი სისტემების გაშვება დაგეგმილია 16-დან 18 თვემდე პერიოდში.

2018 წლის 10 ოქტომბერს ჯეოსელმა შეიძინა 800 მეგაჰერცი სიხშირის ლიცენზია, რომელიც იძლევა 4G/LTE ქსელის უკეთესი დაფარვის მიღწევის შესაძლებლობას. ლიცენზიის ვადა შეადგენს 15 წელს, ხოლო ნასყიდობის ფასი - 25.4 მილიონი ლარი.

კომპანიის სტრატეგიას წარმოადგენს ქსელისა და სისტემების გაუმჯობესების მიმართულებით განახორციელოს ინვესტიციები, რათა უზრუნველყოს აბონენტების ხარისხიანი მომსახურება.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით 2018 წელს სატელეკომუნიკაციო მომსახურების სექტორის საცალო შემოსავალმა შეადგინა 749 მილიონი ლარი.

ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის სეგმენტების საცალო შემოსავლის ევოლუცია, მილიონი ლარი

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მობილური	533	441	460	455	455	407	416	448	481
ფიქსირებული ტელეფონია	121	110	96	80	70	57	50	47	41
ფიქსირებული ინტერნეტი	75	99	115	134	160	185	200	215	227
მაუწყებლობის ტრანზიტი	0	0	0	0	0	0	0	1	1
ჯამი	729	650	672	670	686	650	666	711	749

წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სილქნეტს ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურების მიმართულებით ჰყავს 278 ათასი აბონენტი, რაც მთლიანი სეგმენტის 33%-ს შეადგენს. კომპანიის მთლიან შემოსავლებში ფიქსირებული ინტერნეტის წილმა 2018 წელს შეადგინა 25%.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ინტერნეტ ტელევიზიის მიმართულებით სილქნეტს ჰყავს 228 ათასი აბონენტი, რაც შეესაბამება 36%-იან საბაზრო წილს. აღნიშნული სერვისიდან მიღებულმა შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის ჯამური შემოსავლის 10%-ს.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების მიმართულებით 2018 წლის ბოლოსთვის სილქნეტს ჰყავს 297 ათასი აბონენტი, რაც შეადგენს ბაზრის 51 %-ს. სატელეფონო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის უდიდესი ნაწილი გენერირებულია ფიქსირებული სადენიანი ტელეფონებიდან (PSTN). კომპანიის მთლიან შემოსავლებში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების შემოსავლის წილი შეადგენს 7%-ს.

2018 წელს საბითუმო მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავლის ფარდობამ მთლიან შემოსავლებთან შეადგინა 16%.

კომპანია 2018 წლიდან აბონენტებს სთავაზობს ხმოვან და მობილური ინტერნეტის მომსახურებებს 2G, 3G და 4G/LTE ტექნოლოგიების საშუალებით დაახლოებით 1,500 სადგურიდან (მათ შორის 800 4G/LTE). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავდა 1.77 მილიონი მობილური აბონენტი და ფლობდა ბაზრის 36 %-ს. აღნიშნული სერვისიდან მიღებული შემოსავლის წილმა კომპანიის მთლიან შემოსავლებში შეადგინა 41%.

2018 წლის შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნა # 8 შემოსავლებში.

კომპანიის შემოსავლების და საოპერაციო მოგების ტრენდები არის აღმავალი. 2018 წელს შემოსავალმა შეადგინა 344.3 მილიონი, რაც წინა წლის 172.6 მილიონთან შედარებით წარმოადგენს 99.5%-იან ზრდას. აღნიშნული ცვლილება ძირითადად აიხსნება ჯეოსელის შემენით, რის შედეგადაც კომპანიაში გაჩნდა შემოსავლების ახალი სახეები. ჯეოსელის შესყიდვამდე კომპანია არ ოპერირებდა მობილური ქსელის სეგმენტში, თუ არ გავითვალისწინებთ CDMA მობილურ მომსახურებას, რომლის მიერ დაგენერირებული შემოსავალი მთლიან შემოსავლებში იყო არაარსებითი.

2018 წელს კომპანიის მოგებამ დაბეგვრამდე შეადგინა -9,558 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 27,652 ათასი ლარით. დაღმავალი ტრენდი ძირითადად განპირობა უცხოური ვალუტის გადაფასების შედეგად წარმოშობილმა ზარალმა და საპროცენტო ხარჯმა, რაც აიხსნება გაზრდილი ლევერიჯით.

კომპანია ყოველწლიურად ეწევა ქსელის მოვლისა და მისი ტექნიკური პარამეტრების შენარჩუნებისთვის კაპიტალურ დანახარჯებს, რათა უზრუნველყოს აბონენტების ხარისხიანი მომსახურება. კომპანიის მენეჯმენტი საქმიანობის ფინანსური შედეგების შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად იყენებს კაპიტალური დანახარჯების შემოსავლებთან ფარდობის კოეფიციენტს. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2018 წელს შეადგინა 19% (2017 წელს - 24%). კაპიტალური დანახარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნა # 13-ში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი აქტივები მდებარეობს საქართველოში. კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- რთული გლობალური ეკონომიკური პირობები
- მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა
- ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა
- ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

მოთხოვნა კომპანიის მომსახურებაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს აბონენტების უნარზე გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური.

კომპანიის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული ან დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაზე (ძირითადად აშშ დოლარზე). ამასთანავე, კომპანია შემოსავლების ძირითად ნაწილს ლარში იღებს. ლარის გაცვლითი კურსის უარყოფითმა ცვლილებამ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამავე დროს, კომპანიის კომერციული შესაძლებლობა გაზარდოს მომსახურების ფასები შესაძლოა შეზღუდული იყოს.

ელექტრონული კომუნიკაციების სფერო მუდმივად ვითარდება და მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიას რეგულარულად უწევს მნიშვნელოვანი კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების გაწევა. კომპანიის შემოსავლები შესაძლოა შემცირდეს თუ ის ვერ შეძლებს შესაბამისი ხარჯების გაწევას და აბონენტებისათვის სასურველი მომსახურების შეთავაზებას.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცვლილებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. შეიძლება თავი იჩინოს

გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულებასთან.

ზემოთ განხილულ რისკებთან ერთად ჯგუფი დგას საკრედიტო, ლიკვიდურობისა და საბაზრო რისკების წინაშე. დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ რისკებსა და ფინანსური რისკების მართვის სისტემის შესახებ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების № 21 სამართლიანი ღირებულება და ფინანსური რისკების მართვის განმარტებით შენიშვნაში.

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა

სს „სილქნეტი“ კორპორაციული მართვის კოდექსის მიზანია კომპანიის კორპორაციული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორაციულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, აქციონერთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. კომპანია აცხადებს მზაობას ყოველივე ზემოაღნიშნული განახორციელოს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- **თანასწორობა** - თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა აქციონერის თანაბარ შესაძლებლობას დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში იარსებებს ქმედითი მექანიზმი. გაუგებრობის გამოსარიცხად, თანასწორობის პრინციპის მოქმედება არ გულისხმობს სხვადასხვა კატეგორიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვადასხვა რაოდენობის აქციების მფლობელ აქციონერთა გათანაბრებას.
- **კომპანიის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა** - აქციონერებისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ აქციონერთა შეხვედრებში, დროულად მიიღონ ინფორმაცია აქციონერთა საერთო კრების გამართვის შესახებ, ასევე აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, დროულად მიეწოდოთ ინფორმაცია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, ასევე მიიღონ ნებისმიერ სხვა ინფორმაცია დროულად, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.
- **კომპანიის მმართველ ორგანოთა ანგარიშვალდებულება, კონტროლი და გაწონასწორება** - ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფად კომპანიის მართვა განხორციელდება კომპანიის მმართველი ყველა ორგანოს პასუხისმგებლობის მაღალი დონით, სამეთვალყურეო და აღმასრულებელ ორგანოთა უფლებამოსილებების მკაცრი გამიჯვნითა და დაცვით, კონტროლის ქმედითი მექანიზმის არსებობით.
- **გამჭვირვალობა** - უზრუნველყოფილია კომპანიის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ფინანსური და ეკონომიკური, საკუთრებისა და მართვის შესახებ, ასევე ბაზარზე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გახსნის მექანიზმის ეფექტური არსებობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა, რათა

აქციონერებისა და პოტენციური ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

- **თანამშრომელთა ჩართულობა** - უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების, მით უფრო კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა კომპანიის საქმიანობაში, კომპანიის აქტივების ზრდისათვის - მისი აქციებისა თუ ფასიანი ქაღალდების ღირებულების გაზრდის მიზნით, თუ ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.
- **კონტროლი** - უზრუნველყოფილია ეფექტური კონტროლის მექანიზმის არსებობა კომპანიის ფინანსურ და ბიზნეს ოპერაციებში, აქციონერთა უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვისათვის.

კომპანიის კორპორატიული მართვის ზოგადი სტრუქტურა

კომპანიის მართვის ორგანოების სისტემა მოიცავს შემდეგს:

აქციონერთა საერთო კრება - კომპანიის აქციონერებისაგან შემდგარი მმართველობის უმაღლესი ორგანოა, რომლის მეშვეობითაც აქციონერები იღებენ მონაწილეობას კომპანიის მართვაში და ახორციელებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს.

სამეთვალყურეო საბჭო - მართვის ორგანო, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას კომპანიის საქმიანობაზე, მართვასა და აღმასრულებელ ორგანოებზე, კომპანიის წესდებით დადგენილ ფარგლებში და მის საფუძველზე.

კომპანიის გენერალური დირექტორი - კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც წარმართავს და ხელმძღვანელობს კომპანიის აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი სტრატეგიისა და გეგმის აღსრულებას.

მიმართულების დირექტორი - ინიშნება კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ კონკრეტული მიმართულების სამართავად. მიმართულების დირექტორზე ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს კომპანიის გენერალური დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 2018 წლის 30 იანვარს შეიქმნა აუდიტის და შესაბამისობის კომიტეტი.

აუდიტის კომიტეტი - კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შექმნილი სტრუქტურა, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან და სულ მცირე სამეთვალყურეო საბჭოს ერთი დამოუკიდებელი წევრისაგან და რომელიც ზედამხედველობას უწევს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს, რისკების მართვასა და ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას.

შესაბამისობის კომიტეტი - კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შექმნილი სტრუქტურა, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან და ზედამხედველობას უწევს კომპანიის შიგნით ეთიკისა და შესაბამისობის პოლიტიკის დანერგვასა და განხორციელებას.

საზოგადოების აქციონერები

საზოგადოების აქციონერებს საზოგადოების მიმართ აქვთ უფლებათა ერთობლიობა, რომელთა შესრულებასა და დაცვას უზრუნველყოფს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და კომპანიის გენერალური დირექტორი.

აქციონერთა საერთო კრება წარიმართება იმგვარად, რომ ყველა აქციონერმა შეძლოს საკუთარი აზრის დაფიქსირება. ხმების დათვლა ხორციელდება გამჭვირვალედ და თითოეული მიღებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი აისახება კრების ოქმში.

აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების წმინდა მოგების ნაწილი დივიდენდების სახით. აღნიშნული უფლების სათანადოდ აღსრულებისა და დაცვისათვის კომპანია ვალდებულია იღებს გადაიხადოს გაცხადებული დივიდენდები აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილ ფარგლებში, შესაბამისი პერიოდულობით.

აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა საერთო კრება შედგება კომპანიის აქციონერებისაგან. კრებაზე მიიღება გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რაც დადგენილია საზოგადოების წესდებით. აქციონერთა საერთო კრება კენჭს უყრის დღის წესრიგს. კომპანიაში უზრუნველყოფილია საერთო კრების დღის წესრიგში წინადადებების შეტანის სამართლიანი და ეფექტური პროცედურა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის წინადადებების ჩათვლით.

აქციონერთა საერთო კრების მოწვევის პროცედურა და გადაწყვეტილების მიღების წესი განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო არის კომპანიის მართვის ორგანო, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას კომპანიის საქმიანობასა და აღმასრულებელ ორგანოებზე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან კომპანიის აქციონერთა საერთო კრებაზე 5 წლის ვადით.

სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილი არიან დამოუკიდებელი წევრ(ებ)იც და დაცულია ადეკვატური ბალანსი სამეთვალყურეო საბჭოში აქციონერთა წარმომადგენლებსა და საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული კონკრეტული წევრის ან წევრთა მცირე ჯგუფის, ასევე რომელიმეს აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის მიერ ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას არაადეკვატურად დიდი ზეგავლენის მოხდენა.

სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს კომპანიის წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებასა და ინფორმაციას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და აღნიშნულის თაობაზე მოახსენებს აქციონერთა საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებია შიდა დებულებების, კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული წესებისა და ინსტრუქციების, სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორის ჩანაცვლების, ანაზღაურების გაცემისა და ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკების შემუშავება და დამტკიცება. ასევე, სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს რისკის მართვის ეფექტურობას და იწონებს კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას მისი აქციონერთა საერთო კრებისთვის წარსადგენად.

3. არაფინანსური ანგარიშგება

მიმწოდებლის ქცევის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა

კომპანიის მიზანია გახდეს მსოფლიო კლასის მომსახურების კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურებას შესაბამისად, წინამდებარე კოდექსის მიღება ემსახურება იმ მიზანს, რომ კომპანიის მიმწოდებლებმაც იცოდნენ კორპორატიულ მდგრადობასთან დაკავშირებით კომპანიის მოლოდინები და თვალსაზრისი.

„მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი“ (შემდგომში „კოდექსი“) შესაბამისობაშია კომპანიის „ანტიკორუფციული ქცევის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ეფუძნება შემდეგ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს: „გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები, კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია და გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია.

„სილქნეტი“ და ყველა მისი თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს კომპანიის ანტიკორუფციული ქცევის კოდექსის მოთხოვნები, ამავე დროს, სილქნეტის ყველა მიმწოდებელი ვალდებულია აკმაყოფილებდეს წინამდებარე კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე მოცემული ქვეყნის ადგილობრივი კანონებით ან ნორმატიული აქტებით დადგენილი სტანდარტი

1. სოციალური მოთხოვნები

1.1. ადამიანის უფლებები

- 1.1.1. მიმწოდებელი ან მისი ქვეკონტრაქტორი დაქირავებულ ყველა დროებით თუ მუდმივ თანამშრომელს უნდა მოეპყროს პატივისცემითა და ღირსების დაცვით და მათ უნდა შეეძლოთ ადამიანის ძირითადი უფლებებით სარგებლობა. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისთვის პირდაპირ თუ ირიბად მომუშავე ყველა თანამშრომელმა იცოდეს ეს უფლებები და ესმოდეს მათი შინაარსი;
- 1.1.2. გამოხატვის თავისუფლებისა და თანამშრომლების, კლიენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პირადი ცხოვრების უფლების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.
- 1.1.3. აკრძალულია ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია, მათ შორის ეთნიკური, სქესობრივი, სექსუალური ორიენტაციის, ოჯახური, სოციალური თუ მშობლის სტატუსით, რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსის, ეროვნების, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის და სხვა.
- 1.1.4. დაუშვებელია იმ პირის დასაქმება, რომლის ასაკიც სამუშაოზე მოწყობის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ ასაკზე მცირეა. აკრძალულია მიმწოდებლების, ქვეკონტრაქტორების ან დროებითი დასაქმების სააგენტოების მიერ არასრულწლოვანთა შრომის გამოყენება გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. არასრულწლოვანთა შრომის გამოყენების შემთხვევაში განუხრელად უნდა იქნას დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები, მათ შორის მოთხოვნები, რომელიც კრძალავს არასრულწლოვნებთან ხელშეკრულების დადებას მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.
- 1.1.5. იმ პროდუქტების მიმწოდებლები, რომლებიც შეიცავს კალას, ვოლფრამს, ტანტალიტს ან/და ოქროს, ვალდებული არიან იქონიონ მკაფიო პოლიტიკა ყველა კონფლიქტურ წიაღისეულთან დაკავშირებით და უზრუნველყონ მათი წარმოშობის დადგენა.

1.2. შრომითი უფლებები

- 1.2.1. მომწოდებლის ან ქვეკონტრაქტორის მიერ დაქირავებულ ყველა დროებით თუ მუდმივ თანამშრომელს უნდა ჰქონდეს მისთვის გასაგებ ენაზე შედგენილი წერილობითი ხელშეკრულება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნდა იყოს ხელშეკრულების არსებითი პირობები, მათ შორის მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა; სამუშაო დრო და დასვენების დრო; სამუშაო ადგილი; თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე; შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.
- 1.2.2. ჩვეულებრივი სამუშაო კვირა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, – კვირაში 48 საათს. ზეგანაკვეთური შრომა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს კვირაში, თუ კოლექტიური შრომის ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის დარეგულირებული. დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ უფლება ისარგებლონ შვიდდღიან პერიოდში სულ მცირე ერთი დასვენების დღით მაინც.
- 1.2.3. შრომის ანაზღაურება და პირობები უნდა იყოს სამართლიანი და აკმაყოფილებდეს ძირითად საჭიროებებს, რაც არ უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ შრომის ანაზღაურებაზე ნაკლები და უნდა მოიცავდეს დახმარებებს და შეღავათებს. ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების განაკვეთები უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივ სახელფასო განაკვეთებს.
- 1.2.4. დასაქმებულებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მათი დასაქმების პირობებისა და უფლებების შესახებ და მათ სრულად უნდა ესმოდეთ ეს პირობები. დასაქმებულებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ თავიანთი პრობლემის შესახებ ისაუბრონ დასჯის ან ანგარიშსწორების შიშის გარეშე.
- 1.2.5. სამსახურებრივი მოვალეობები, მათ შორის, დოკუმენტურად ასახული საშიში სამუშაოები, დადგენილი უნდა იყოს, უნდა ხდებოდეს მათი განახლება და ყველა დასაქმებულისა და კონსულტანტისთვის გაცნობა. ყველა დასაქმებულს უნდა ჰქონდეს წვდომა ისეთ ძირითად საშუალებებზე, როგორცაა სასმელი წყალი, საპირფარეშო და ადეკვატური დასვენების ოთახები ან საერთო საცხოვრებელი ფართები, რომლებიც სუფთაა, უსაფრთხოა და შეესაბამება დანიშნულებას.
- 1.2.6. იძულებითი შრომის ნებისმიერი ფორმა სასტიკად აკრძალულია. დასაქმებულებს არ მოეთხოვებათ დეპოზიტების შეტანა ან პირადობის დამადასტურებელი ან ეკვივალენტური დოკუმენტების ორიგინალების დამსაქმებლისათვის შესანახად გადაცემა. დასაქმებულებს აქვთ თავისუფლად გადაადგილების უფლება და არასამუშაო საათებში სამუშაო ადგილის დატოვების შესაძლებლობა.
- 1.2.7. არავინ უნდა დაექვემდებაროს ფიზიკურ სასჯელს, უკანონო დაკავებას, ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ ან სიტყვიერ შევიწროებას ან შეურაცხყოფას.
- 1.2.8. ყველა დასაქმებულს უფლება აქვს ჩამოაყალიბოს პროფესიული კავშირი, გაწევრიანდეს ან არ გაწევრიანდეს პროფესიულ კავშირში ან მსგავს ორგანიზაციებში და დადოს კოლექტიური ხელშეკრულება.

1.3. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

- 1.3.1.** მშენებლობის, საველე ტექ-მომსახურების, სარემონტო და ქსელის გაშვების მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: ჩაკეტილ სივრცეში მუშაობა; დაკიდულ კონსტრუქციებზე მუშაობა/აწევის სამუშაოები; მიწის/სამოქალაქო მშენებლობის/სამშენებლო სამუშაოები; რადიო სიხშირესთან დაკავშირებული სამუშაოები; ელექტროსამონტაჟო სამუშაოები; სიმაღლეზე მუშაობა; ავტომატური მართვა (როდესაც სამუშაოს აუცილებელი ნაწილია) უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.
- 1.3.2.** მიმწოდებლის სამუშაო ადგილზე უნდა იყოს ნორმალური სამუშაო პირობები და ეს გარემო უნდა იყოს უსაფრთხო და ჯანმრთელი, მათ შორის, ჯანმრთელი როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დასაქმებულებს უნდა გადაეცეთ სათანადო ინფორმაცია ჯანმრთელობის და უსაფრთხოების შესახებ და ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებში, მათ შორის და არა მხოლოდ ისეთ საკითხებში, როგორიცაა: სახანძრო უსაფრთხოება, ქიმიური ნივთიერებებისა და მანქანა-დანადგარების სწორად გამოყენება, საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნა და პირველადი დახმარება.
- 1.3.3.** მიღებული უნდა იყოს სათანადო ზომები ფიზიკური ტრავმებისა და აგრეთვე ფსიქო-სოციალური დაავადებების თავიდან ასაცილებლად და საშიში სამუშაო გარემოსათვის დამახასიათებელი მიზეზების შესამცირებლად. მომწოდებელმა დასაქმებულები უფასოდ უნდა უზრუნველყოს შესაფერისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. ფიზიკური ინციდენტები და უბედური შემთხვევები, ისევე როგორც ფსიქოსოციალური დაავადებები დოკუმენტირებული უნდა იქნეს და ეცნობოს მიმწოდებლის ხელმძღვანელობას.

2. ანტიკორუფციული მოთხოვნები

- 2.1.1.** ყველა სახის კორუფცია, მათ შორის და არა მხოლოდ, გამოძალვა, მექრთამეობა, ფორმლობების დაჩქარებისთვის საკომისიოების გადახდა, ნეპოტიზმი, თაღლითობა და ფულის გათეთრება, მკაცრად აკრძალულია.
- 2.1.2.** არავის აქვს უფლება ვინმეს პირდაპირ თუ ირიბად შესთავაზოს, მოსთხოვოს, მისცეს ან ვინმესგან მიიღოს პირადი თანხა, საჩუქარი ან სარგებელი მიკერძოებული მოპყრობის სანაცვლოდ, რომლის მიზანია საქმიან გარიგებაზე ზემოქმედება ან პირადი ან საქმიანი უპირატესობის მოპოვება. ეს ნორმა მოიცავს “სილქნეტის”, მიმწოდებლისა და მისი ქვეკონტრაქტორების როგორც ოჯახის წევრებს, ასევე დასაქმებულებს.
- 2.1.3.** „სილქნეტში“ დასაქმებულებს მკაცრად ეკრძალებათ შესყიდვის პროცესში და საჯარო მოსამსახურებებთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის საჩუქრის მიღება ან მიცემა. გარდა ამისა, „სილქნეტში“ დასაქმებულებს მკაცრად ეკრძალებათ მიმწოდებლების პროდუქტებისა თუ მომსახურების რეკლამაში ან სარეკლამო მასალაში მონაწილეობის მიღება.
- 2.1.4.** „სილქნეტის“ შესაბამისი დეპარტამენტის/განყოფილების/სამსახურის თანამშრომლებმა საჩუქრების მიღება ან მიცემა შეიძლება განახორციელონ მხოლოდ “სილქნეტის” სახელით, თუ ამ საჩუქრებს აქვს მკაფიო საქმიანი მიზანი, შესაფერისია საქმიანი ურთიერთობის ბუნებისთვის და შეზღუდული ღირებულებისაა. ღონისძიებები ბიზნესთან უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული. ყველა საჩუქარი უნდა აღირიცხოს და იქნება “სილქნეტის” საკუთრება.
- 2.1.5.** მიმწოდებლისათვის სავალდებულოა კეთილსინდისიერი კონკურენციის და ღია ბაზრის პრინციპების დაცვა. საქმიანი გადაწყვეტილებები პირადი ურთიერთობებით ან ინტერესებით არ უნდა იყოს მოტივირებული და არც ამგვარი ურთიერთობები ან ინტერესები უნდა ახდენდეს ზემოქმედებას ასეთ გადაწყვეტილებებზე.

- 2.1.6. მიმწოდებელს შემუშავებული უნდა ჰქონდეს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი ანტიკორუფციული პროგრამა. ადეკვატური ტრენინგის ჩატარებისა და ინფორმაციის გადაცემის შედეგად ეს პროგრამა უნდა იყოს გამჭვირვალე და ეფექტურად დაცული.

3. გარემოსდაცვითი მოთხოვნები

- 3.1.1. მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს გარემოს მართვის სისტემა, მათ შორის, მიზნები და სტანდარტები, მაგ., ISO14001 ან მისი ეკვივალენტური. მიმწოდებელმა უნდა შეამციროს მისი/მიმწოდებლის სამუშაოების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. მიმწოდებელი ვალდებულია გამოიყენოს ფრთხილი მიდგომა და ეცადოს შეინარჩუნოს და გაზარდოს ბიომრავალფეროვნება.
- 3.1.2. მიმწოდებელი დაადგენს განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მიღების პრიორიტეტებს და შეზღუდვას წყლის მოხმარებას, განსაკუთრებით დაზარალებულ ტერიტორიებზე.
- 3.1.3. მიმწოდებელმა უნდა შემოიღოს მონიტორინგის პროცესი დამაბინძურებელი ნივთიერებებისა თუ ნარჩენების, მათ შორის, ელექტრონული ნარჩენების ატმოსფეროში გაფრქვევაზე, მდინარეებსა თუ ზღვებში ჩაღვრაზე და დაყრაზე. ნარჩენების მართვა უნდა ხორციელდებოდეს სათანადოდ, ხოლო მათი გადამუშავება განმეორებით გამოყენების მიზნით – გამჭვირვალედ.
- 3.1.4. მიმწოდებელი უნდა ეცადოს შეამციროს საავტომობილო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის გამოყენებისას გარემოზე ზემოქმედება. „სილქნეტისათვის“ საქონლის ან მომსახურების მოწოდებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საწვავის ეკონომიურად მომხმარებელ სატრანსპორტო საშუალებებს.
- 3.1.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია რეგულარულად შეაფასოს ქიმიური ან სხვა ნივთიერებების გამოყენება და დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა მათი ნაკლებად საშიში ალტერნატივებით ჩანაცვლება. ქიმიური ნივთიერებების გამოყენება და განკარგვა უნდა ხდებოდეს უსაფრთხოდ და სწორედ ისე, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი გარემოზე მავნე ზემოქმედება. მიმწოდებლის მიერ გამოყენებული ქიმიური ნივთიერებები უნდა იყოს დოკუმენტურად აღრიცხული.
- 3.1.6. ანტენების, კოშკურებისა და ანძების არქიტექტურა და ადგილმდებარეობა უნდა ითვალისწინებდეს ელექტრომაგნიტური ტალღების, ხმაურის, ხილვადობის შეზღუდვის, საკუთრების უფლებების, მისაწვდომობის, გარემოზე ზემოქმედებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს.

4. შესაბამისობის მოთხოვნები

- 4.1.1. „კოდექსის“ მოთხოვნები გათვალისწინებული იქნება მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისთანავე მონაწილეობა მიიღოს „სილქნეტის“ მიერ ორგანიზებულ თვითშეფასების პროცესში. „სილქნეტს“ აქვს უფლება ახლანდელ, მომავალ ან ყოფილ ობიექტებზე გასვლით ან კამერალურად შეამოწმოს, როგორ ასრულებენ მიმწოდებელი და ქვეკონტრაქტორები წინამდებარე „კოდექსის“ მოთხოვნებს.
- 4.1.2. მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისთანავე სილქნეტს წარმოუდგინოს მონაცემები და ინფორმაცია წლიური ან სხვა ანგარიშებისათვის.
- 4.1.3. მიმწოდებელთა მხრიდან წინამდებარე „კოდექსის“ მოთხოვნების არსებითი დარღვევა „სილქნეტს“ ანიჭებს უფლებას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მიმწოდებელთან გაფორმებული ნებისმიერი ან ყველა ხელშეკრულება.

“კოდექსის” დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე შეატყობინოს “სილქნეტს”. ეს გამოყენებული არ იქნება მიმწოდებლის ან ქვეკონტრაქტორის წინააღმდეგ, თუ ის კეთილსინდისიერად მოქმედებდა.

მიმწოდებლის ანტიკორუფციული პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიამ შეიმუშავა პოლიტიკა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ანტიკორუფციული პოლიტიკის მოთხოვნები გამოიყენება ყველა იმ იურიდიული/ფიზიკური პირის მიმართ, რომლებიც “სილქნეტს” აწვდიან პროდუქციას ან/და უწევენ მომსახურებას, ასევე, რომლებსაც „სილქნეტი“ აწვდის პროდუქციას ან/და უწევს მომსახურებას. აღნიშნული პოლიტიკა მათ შორის ვრცელდება მიმწოდებლებისა და მათი ქვეკონტრაქტორების თანამშრომლებსა და კონსულტანტებზე, მიუხედავად იმისა, ისინი უვადოდ არიან დასაქმებული თუ დროებით, უშუალო დასაქმებულები არიან თუ არა ან მათზე უშუალო ხელმძღვანელობა ხორციელდება თუ არა.

წესები და პირობები

1. სილქნეტთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში მყოფი მიმწოდებელი და ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მიმწოდებელი იყენებს სილქნეტთან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, მათ შორის, დასაქმებულები, აგენტები, კონსულტანტები, კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები ვალდებული არიან:
 - 1.1. არ შესთავაზონ, შეპირდნენ, მისცენ, მოითხოვონ ან მიიღონ ნებისმიერი ქრთამი ან სხვა კორუფციული თანხა, მათ შორის საჯარო დაწესებულების თანამშრომლისგან;
 - 1.2. განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ ჩაიდინონ ისეთი რამ, რამაც, სავარაუდოა, რომ გამოიწვევს მიმწოდებლის, მყიდველის ან ნებისმიერი მათი პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებლების/მონაწილეების (რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება აფილირებული პირებით), დირექტორების, ხელმძღვანელი პირების ან დასაქმებულების მიერ მექრთამეობასა და კორუფციასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობის (შემდგომში - „კანონმდებლობის“) დარღვევას;
 - 1.3. „სილქნეტთან“ სახელშეკრულებო და საქმიან ურთიერთობებში ყოფნის პერიოდის განმავლობაში იქონიოს ქმედითი მექანიზმი წინამდებარე პოლიტიკასთან და კანონმდებლობასთან საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფის, კორუფციული ქმედებების პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით;
 - 1.4. აცნობოს „სილქნეტს“ მიმწოდებლის მიერ ხომ არ არის დასაქმებული საჯარო დაწესებულების თანამშრომელი და აგრეთვე დაუყოვნებლივ შეატყობინოს მას ამგვარი მონაცემების ცვლილების თაობაზე.
 - 1.5. სილქნეტთან სახელშეკრულებო ურთიერთობების პერიოდში და ასევე ხელშეკრულების შეწყვეტიდან სულ მცირე ხუთი წლის განმავლობაში, ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხების ან/და სახსრების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია - თანხის ოდენობის, დანიშნულებისა და მიმღების, მესამე პირის ქვითრების და ინვოისების მითითებით, სათანადოდ და ზუსტად, კანონმდებლობისა და შიდა პროცედურების შესაბამისად შეინახოს წიგნებსა და ჩანაწერებში.
 - 1.6. ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან მოთხოვნის შემთხვევაში, წერილობით დაადასტუროს რომ მიმწოდებელი აკმაყოფილებს კანონმდებლობისა და ხელშეკრულების ანტიკორუფციული პოლიტიკის მოთხოვნებს;
 - 1.7. დაუყოვნებლივ აცნობოს სილქნეტს თაღლითობის, მექრთამეობის, კორუფციის ან უკანონო საქმიანობის გამო მიმწოდებლის წინააღმდეგ სასამართლო, საარბიტრაჟო ან ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, ან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამგვარი ბრალდებების გამო მიმდინარე საგამომიებო მოქმედებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

1.8. კანონმდებლობის დარღვევის ან დარღვევის საფრთხის შესახებ სილქნეტის საფუძვლიანი ექვსი არსებობის შემთხვევაში, კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს სილქნეტთან და მის წარმომადგენლებთან ამგვარი დარღვევის არსებობის/არარსებობის დასადგენად;

1.9. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და ასევე ხელშეკრულების შეწყვეტიდან სულ მცირე ხუთი წლის განმავლობაში, კანონმდებლობით ან/და რეგულაციებით დაშვებულ ფარგლებში, მოთხოვნის შემთხვევაში სილქნეტი უფლებამოსილია მიმწოდებლის საწარმოო ან სხვა სათავსებში ან/და სილქნეტი საწარმოო ან სხვა სათავსებში ჩაატაროს აუდიტი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების, როგორცაა გადახდის და ანგარიშგაქტურის გამოწერის, ხელშეკრულების საგნის რაოდენობის და ხარისხის და დაკავშირებული პროცესების, კონფიდენციალური ინფორმაციის, ინფორმაციული ტექნოლოგიების და სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მიმწოდებელთა ქცევის კოდექსის ჯეროვანი შესრულების დადგენის მიზნით. აუდიტი უნდა ჩატარდეს აღნიშნულის თაობაზე 7 (შვიდი) სამუშაო დღით ადრე გაფრთხილების საფუძველზე. სილქნეტი უფლებამოსილია ჩაატაროს აუდიტი მიმწოდებლის მოკლე დროით - 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე გაფრთხილების საფუძველზე, თუ ამკარა შემთხვევა ბადებს ექვს მიმწოდებლის მიერ ამ დებულების მოთხოვნების დარღვევის შესახებ.

1.10. აუდიტი უნდა ჩატარდეს სილქნეტის თანამშრომლების ან სილქნეტის მიერ დაქირავებული პროფესიონალი მესამე მხარის მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ სილქნეტის მიერ დაქირავებული მესამე მხარე დაიცავს ინფორმაციის კონფიდენციალურობას მიმწოდებლისათვის გონივრულად მისაღებ ფარგლებში. სილქნეტმა უნდა გაიღოს საკუთარი ინიციატივით ჩატარებული აუდიტის ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუდიტის შედეგად აღმოჩენილია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი, რომელიც არ არის უმნიშვნელო. ასეთ შემთხვევაში აუდიტის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი.

1.11. თუ სილქნეტი ობიექტურ საფუძველზე დაყრდნობით ეჭვობს ან აღმოაჩენს, რომ მიმწოდებელმა დაარღვია წინამდებარე პოლიტიკის რომელიმე პირობა, ამგვარი დარღვევა ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების არსებით დარღვევად და სილქნეტი უფლებამოსილია შეაჩეროს გადახდა ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, რაც არ ჩაითვლება სილქნეტის მიერ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ უფლებებზე უარის თქმად. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ ამგვარი დარღვევა სილქნეტს აყენებს პოტენციური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხის წინაშე, ხელშეკრულების შეჩერება ან/და შეწყვეტა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, მიმწოდებლისათვის შეტყობინებისთანავე, ხელშეკრულებაში ამგვარი დარღვევის აღმოფხვრის უფლების არსებობის მიუხედავად.

1.12. წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ხელშეკრულების საგნის მიწოდებასთან რაიმე კავშირში მყოფი ნებისმიერი გარეშე ფიზიკური ან იურიდიული პირი მოქმედებს მხოლოდ გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც იღებს ვალდებულებას შეასრულოს მიმწოდებლის მიერ ამ პოლიტიკით ნაკისრი ვალდებულებები. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზემოაღნიშნული პირების მიერ წესების და პირობების დაცვა და შესრულება და ნებისმიერი დარღვევისათვის სილქნეტის წინაშე პასუხს აგებს უშუალოდ.

1.13. მიმწოდებელმა სილქნეტს და მის პირდაპირ და არაპირდაპირ დამფუძნებლებს/მონაწილეებს (რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება აფილირებული პირებით, გამონაკლისს წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოებში საჯარო ვაჭრობაზე დაშვებული აქციების მფლობელები), დირექტორებს, ხელმძღვანელ პირებს და დასაქმებულებს უნდა აუნაზღაუროს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მათ განიცადეს, მათ შორის, მიმწოდებლის მიერ ამ დებულების დარღვევის შედეგად დაკისრებული ნებისმიერი სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი ჯარიმის/საურავის სახით.

2. წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისთვის „საჯარო დაწესებულების თანამშრომელი“ ნიშნავს:

2.1. საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო ხელისუფლებაში, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, მათ შორის ადმინისტრაციულ ორგანოებში, საქვეუწყებო დაწესებულებებში, საერთაშორისო სამთავრობო ორგანოებში დასაქმებულ/მათი სახელით მოქმედ ნებისმიერ პირს;

2.2. პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირს;

2.3. პრეზიდენტობის, პარლამენტის წევრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის წევრობის კანდიდატს ან ნებისმიერ სხვა პირს რომელიც მონაწილეობს წინასაარჩევნო კამპანიაში;

2.4. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოში/დაწესებულებაში/არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში დასაქმებულ ნებისმიერ პირს.

დავით მამულაიშვილი

გენერალური დირექტორი

ბაია ფშავლიშვილი


ფინანსური დირექტორი

- 2.3. პრეზიდენტობის, პარლამენტის წევრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის წევრობის კანდიდატს ან ნებისმიერ სხვა პირს რომელიც მონაწილეობს წინასაარჩევნო კამპანიაში;
- 2.4. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოში/დაწესებულებაში/არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში დასაქმებულ ნებისმიერ პირს.



დავით მამულაიშვილი

გენერალური დირექტორი



ბაია ფშავლიშვილი

ფინანსური დირექტორი